ევროკავშირი
საქართველოსთვის

german cooperation
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

DW Akademie

MDF
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

საქართველოს მედიაგარემო

2023

საქართველოს მედიაგარემო

ანგარიში მომზადებულია

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ

კვლევის ავტორი: მამუკა ანდღულაძე

რედაქტორი: ალექსანდრე ცქიტიშვილი

დიზაინი: ირმა მამასახლისი

2023

საზოგადოებრივი ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი(HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

• ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org

• წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org

• ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrightshouse.org

•სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org

მისამართი:

0160 თბილისი, ა. გახოკიძის ქ. 11ა, III სართული
ტელ.: (+995 32) 237 69 50,
ელ-ფოსტა: hrc@hrc.ge
ონლაინ გამოცემა ადამიანის უფლებების შესახებ:
http://www.humanrights.ge
ვებ-საიტი: hrc.ge

წინამდებარე მასალა მომზადდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და გერმანიის ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ფედერალური სამინისტროს თანადა-ფინანსებით. ამ მასალის შინაარსი ავტორის - მამუკა ანდღულაძის და ადამიანის უფლებათა ცენტრის პასუხისმგებლობაა და არ გამოხატავს ევროკავშირის და გერმანიის ფედერალური სამინისტროს შეხედულებებს.

სარჩევი

1. მედიაგარემო 5

- საკანონმდებლო ჩარჩო 5
- მედიის თვითრეგულირება 7
- მედიის მფლობელობა და პოლარიზაცია 9
- ქართული მედიაგარემო საერთაშორისო შეფასებებში/რეიტინგებში 15
- ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი 17
- „რუსული კანონი“ მედიის წინააღმდეგ 19

2. ფიზიკური ძალადობა, მუქარა და დაშინება 21

3. პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები 25

4. SLAPP სარჩელები კრიტიკული მედიის წინააღმდეგ 29

5. უკანონო მოსმენები 31

6. პოლიტიზებული სახელმწიფო უწყებები 33

7. დეზინფორმაცია მედიის წინააღმდეგ 36

8. საჯარო ინფორმაციაზე წვდომა 40

9. ჟურნალისტების დაცვის ეფექტური მექანიზმები 41

ქართული მედიაგარემოს კვლევის მიზანია საქართველოში მედიის თავისუფლების, ჟურნალისტების უფლებებისა და პლურალიზმის მდგომარეობის შეფასება. ანგარიში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ჟურნალისტების უსაფრთხოება, კრიტიკული მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმდინარე პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები და ხელისუფლების ბოიკოტი მათ მიმართ, დეზინფორმაციული კამპანიები, მედიის დამოუკიდებლობის ხარისხი პოლიტიკური და სხვა სახის გავლენისგან, ასევე - სექტორში არსებული ძირითადი გამოწვევები.

წინამდებარე კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს მედიისა და გამოხატვის თავისუფლების საკანონმდებლო ბაზისა და პრეცედენტული პრაქტიკის მიმოხილვას, საჯარო წყაროებით ხელმისაწვდომი ანგარიშებისა და კვლევების ანალიზს.

ძირითადი მიგნებები:

- საქართველოში ჟურნალისტების, განსაკუთრებით კრიტიკული მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ გახშირებულია ფიზიკური ძალადობის, მუქარის, დაშინების, პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის შემთხვევები.
- ხელისუფლების მხრიდან მედიის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებზე არაეფექტური რეაგირება იწვევს დაუსჯელობის შეგრძნებას, რასაც შედეგად „მსუსხავი ეფექტი“ აქვს გამოხატვის თავისუფლებაზე და დამატებით ახალისებს ძალადობას;
- პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული „მთავარი არხის“ ყოფილი დირექტორის ნიკა გვარამიას შეწყალება დადებითი მოვლენა იყო. თუმცა პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება არ ცვლის პოლიტიზებული საგამოძიებო თუ სასამართლო ხელისუფლების პრობლემას ქვეყანაში.
- მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ მიერ ინიცირებული „რუსული კანონი“ მიზნად ისახავდა ქვეყანაში მოქმედი დამოუკიდებელი მედიისა და სამოქალაქო ორგანიზაციების დისკრედიტაციას და საბოლოდ, მათი საქმიანობისთვის გადაულახავი დაბრკოლებების შექმნას;

- მიზანმიმართული დეზინფორმაციის გავრცელება კრიტიკული მედიისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ პერმანენტულ ხასიათს ატარებს. მსგავსი თავდასხმების უკან, სავარაუდოდ, ხელისუფლება და მასთან აფილირებული პირები არიან. დეზინფორმაცია გამოიყენება კრიტიკული მედიასაშუალებების დისკრედიტაციისა და მოსახლეობაში მათ მიმართ ნდობის დაკარგვის მიზნით;
- კრიტიკული ჟურნალისტების მიმართ ხელისუფლების მხრიდან შექმნილმა მტრულმა გარემომ გაართულა მათთვის პროფესიული მოვალეობის შესრულება;
- მედიის წვდომა საჯარო ინფორმაციაზე კრიტიკულად არის შეზღუდული. ხელისუფლება კვლავ ბოიკოტს უცხადებს მისთვის არასასურველ მედიებს, ცალკეულ შემთხვევებში არ უშვებს ან არ იწვევს მათ საჯარო ღონისძიებებზე;
- SLAPP-ის საჩივრების გამოყენება ჟურნალისტების წინააღმდეგ არის კიდევ ერთი საშუალება, რომლითაც მმართველი პარტია და მასთან აფილირებული პირები ცდილობენ ქვეყანაში განსხვავებული აზრის გაჩუმებას.

1. მედიაგარემო

საკანონმდებლო ჩარჩო

გამოხატვისა და მედიის თავისუფლების დაცვა აუცილებელია ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოებისთვის. მედია უზრუნველყოფს ხელისუფლების საჯაროობასა და საზოგადოების წინაშე მის ანგარიშვალდებულებას, ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ საზოგადოების ინფორმირებასა და მათ შესაძლებლობას, აქტიური მონაწილეობა მიიღონ საჯარო დებატებში.

საქართველოს საკანონმდებლო ბაზა უზრუნველყოფს სიტყვის თავისუფლებისა და მედიის უფლებების დაცვას. თუკი წლების განმავლობაში მედიის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო ერთ-ერთ მოწინავედ ითვლებოდა რეგიონში, სამწუხაროდ, დღეისათვის ცალკეული საკანონმდებლო ცვლილებები თუ სასამართლო პრაქტიკის მიერ შეცვლილი

განმარტებები ნეგატიურად აისახება გამოხატვის თავისუფლებაზე. გარდა ამისა, პრაქტიკაში არსებობს მთელი რიგი გამოწვევები, რომელიც საფრთხეს უქმნის მედიის პლურალიზმსა და ჟურნალისტების უსაფრთხოებას.

საქართველოში ცილისწამება დეკრიმინალიზებულია. საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას. მე-17 მუხლით გარანტირებულია აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება და დაუშვებელია ადამიანის დევნა მის გამო.[1] კონსტიტუციით აკრძალულია სახელმწიფოს ან ცალკეული პირების მიერ მედიის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაცია.[2] პოზიტიურად და პროგრესულად უნდა შეფასდეს კონსტიტუციით გარანტირებული კიდევ ერთი უფლება, კერძოდ, ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება.[3] მედიისა და გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და მისი შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კანონის შესაბამისად, კერძოდ: დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად და ა.შ.[4]

კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ მიზნად ისახავს გამოხატვის თავისუფლებისა და მედიის პლურალიზმის ხელშეწყობას და ჟურნალისტთა უფლებების დაცვას. კანონი შეიცავს გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალ სტანდარტებს, რომელიც ქვეყანაში სიტყვის თავისუფლების, მათ შორის, კრიტიკული გამოხატვის თავისუფლების გარანტიაა. ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობას არ იწვევს განცხადება, თუკი ის გაკეთებულია პოლიტიკური დებატების ფარგლებში, მედიაში ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებულ ცილისწამებასთან დაკავშირებული სასამართლო დავისას კი მოპასუხე მედიის მესაკუთრეა. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს და

[1] საქართველოს კონსტიტუცია, მე-17 (1) მუხლი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36
[2] საქართველოს კონსტიტუცია, მე-17 (3) მუხლი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36
[3] საქართველოს კონსტიტუცია, მე-17 (4) მუხლი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36
[4] საქართველოს კონსტიტუცია, მე-17 (5) მუხლი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

ნებისმიერი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ.[5]

კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ განსაზღვრავს მედიამომსახურებისა და ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიწოდების განხორციელების წესს, საზოგადოებრივი მაუწყებლისა და ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს შექმნისა და საქმიანობის წესსა და ფუნქციებს.[6]

პროგრესული საკანონმდებლო ჩარჩოს მიუხედავად, ბოლო პერიოდში აქტიურად ხდება სასამართლოს თუ მარეგულირებელი ორგანოს მიერ ნორმების ისე გამოყენება და განმარტება, რაც არ შეესაბამება, როგორც საქართველოს კანონმდებლობას, ისე საერთაშორისო სამართლით გარანტირებულ საუკეთესო პრაქტიკას. განსაკუთრებით საგანგაშოა ე.წ. SLAPP (სამოქალაქო ჩართულობის წინააღმდეგ სტრატეგიული სამართალწარმოება) სარჩელები, რომელიც ძირითადად კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკის მქონე მაუწყებლების წინააღმდეგ არის მიმართული.[7] კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ რეგულარულად ხდება „პოლიტიკური რეკლამის“ ცნების თვითნებური განმარტება, რაც არაწინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის განთავსების მკაფიო აკრძალვის არარსებობის პირობებში კრიტიკულ მაუწყებლებს მძიმე სანქციებს აკისრებს.[8]

✧ მედიის თვითრეგულირება

საქართველოში მოქმედებს მედიის თვითრეგულირების ორგანო - საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია ჟურნალისტთა დამოუკიდებელი გაერთიანებაა, რომელიც 2009 წელს დაფუძნდა. ის მედიის სფეროში პროფესიული და ეთიკური სტანდარტების დაცვას ისახავს მიზნად. თვითრეგულირების მექანიზმების შექმნის გზით ქარტია ცდილობს ხელი შეუწყოს პროფესიული და ეთიკური სტანდარტების ამაღლებას მედიასექტორში. ქარტიაში დღეისათვის მთელი ქვეყნის მასშტაბით 360 ჟურნალისტია გაერთიანებული. ქარტიის თერთმეტი პრინციპი

[5]საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, 5-8 მუხლები: https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=7

[6] საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=70

[7] უფრო დეტალური ინფორმაცია და შეფასებები იხილეთ თავში: SLAPP სარჩელები კრიტიკული მედიის წინააღმდეგ.

[8] უფრო დეტალური ინფორმაცია და შეფასებები იხილეთ თავში: პოლიტიზებული სახელმწიფო უწყებები

უზრუნველყოფს ჟურნალისტების მხრიდან მნიშვნელოვანი პროფესიული სტანდარტების დაცვას, როგორიცაა: ზუსტი ინფორმაციის მიწოდება, ფაქტზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია, ინფორმაციის გავრცელება, წყაროს საიდუმლოების დაცვა, დისკრიმინაციის წახალისებისგან თავის შეკავება, სარედაქციო და კომერციული კონტენტის გამიჯვნა, პირადი ცხოვრების პატივისცემა და ა.შ. ქარტია რეგულარულად გამოსცემს რეკომენდაციებს, რომელიც ეფუძნება პრინციპების განმარტებებსა და საბჭოს გადაწყვეტილებებს.[9]

ქარტიას ცხრა წევრისგან შემდგარი საბჭო მართავს, რომელიც ირჩევს დირექტორს. ჟურნალისტების წინააღმდეგ შეტანილ განცხადებებს საბჭო განიხილავს. ქარტიის მიერ ბოლო წლებში განხორციელებულმა პროექტებმა, ასევე, საბჭოს მიერ მიღებულმა არაერთმა მიუკერძოებელმა და დასაბუთებულმა გადაწყვეტილებამ გაზარდა როგორც მედიაში პროფესიული და ეთიკური სტანდარტების მიმართ მგრძნობელობა, ასევე - ქარტიისადმი მიმართვის სტატისტიკაც. თუკი ქარტიას 2016 წელს 47 განცხადებით მიმართეს, 2022 წელს განცხადების რაოდენობამ 89 შეადგინა.[10]

ქარტია წინასაარჩევნო პერიოდში ახორციელებს მედიების მონიტორინგს, რაც საზოგადოებისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ანალიზის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. სატელევიზიო ახალი ამბების ბოლო მონიტორინგის შედეგების მიხედვით, რომელიც 2021 წლის პოსტ-საარჩევნო პერიოდის გაშუქებას მოიცავდა და 2022 წლის 24 იანვრიდან 23 მარტამდე ჩატარდა, ქვეყანაში სამაუწყებლო მედიაგარემო მკვეთრად პოლარიზებულია და მედიები ხელისუფლებისა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მიმართ მიკერძოებით გამოირჩევიან. აღნიშნული პოლარიზაცია კი რუსეთის მიერ უკრაინაზე თავდასხმის შემდეგ მკვეთრად გაიზარდა. პროსამთავრობო მედია ხელისუფლების საქმიანობას დადებითი ტონით, ხოლო ოპოზიციას უარყოფითი ტონით აშუქებდა. კერძო მაუწყებლებთან ერთად

[9] ჟურნალისტური ეთიკი ქარტია, https://www.qartia.ge/qartia, https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula.

[10] ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, წლიური ანგარიშები 2022, 2016:
https://www.qartia.ge/media/1000907/2017/07/25/ddac2c01032e73160439254cbca97569.pdf
https://drive.google.com/file/d/1FmMahA9slPVEg91xseMLiP0f-OYfO6-Z/view

საზოგადოებრივი მაუწყებელიც მმართველი პარტიის მიმართ მიკერძოებული სარედაქციო პოლიტიკით გამოირჩევა.[11]

საქართველოში, ასევე, მოქმედებს მაუწყებლების თანარეგულირების მექანიზმი, კერძოდ, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებული ქცევის კოდექსი, რომელიც მაუწყებლის მიერ პროგრამის მომზადებისა და გადაცემის პრინციპებს, წესებსა და სახელმძღვანელო რეკომენდაციებს ადგენს.[12]

✧ მედიის მფლობელობა და პოლარიზაცია

საქართველოში ტელევიზია მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროდ რჩება[13] შესაბამისად, დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება საზოგადოების მიერ ინფორმაციის მიღების მეთოდებსაც ცვლის. კვლევების მიხედვით, საქართველოში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ინფორმაციას სოციალური ქსელებიდან და ინტერნეტიდან იღებს. აღსანიშნავია, რომ ტელევიზიებზე პოლიტიკური ძალები, როგორიცაა ხელისუფლება, მმართველი თუ ოპოზიციური პარტიები, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ. სხვადასხვა შეფასების/ანგარიშის თანახმად, მედიასაშუალებები იქცევიან ზუსტად ისევე, როგორც მათზე გავლენის მქონე პოლიტიკური პირები, ირეკლავენ რა მათ დღის წესრიგს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ისედაც რადიკალიზებულ და პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოს.[14]

პოლარიზაცია განსაკუთრებულად თვალსაჩინოა წამყვანი ეროვნული მედიების შემთხვევაში და ნაკლებად შეინიშნება რეგიონულ დონეზე, მიუხედავად იმისა, რომ იქაც გვხვდებიან პროსახელისუფლებო და

---

[11] სატელევიზიო ახალი ამბების პოსტ-საარჩევნო მონიტორინგის ანგარიში, 24 იანვარი - 23 მარტი, 2022: https://drive.google.com/file/d/1rM4PnU9b6Hhe1K8NZp_JbfFovwKrxeco/view

[12] საქართველოს კომუნიკაციების კომისია, მაუწყებელთა ქცევის კოდექსი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/82792?publication=0

[13] CRRC-ის კვლევა: https://caucasusbarometer.org/ge/cb2021ge/INFSOU1/

[14] ლაშა ქავთარაძე (2021), ქართული მეინსტრიმ მედია პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოში: მსხვერპლი და თანამზრახველი: https://www.ssoar.info/ssoar/handle/document/87100
აირექსი, ჯანსაღი ინფორმაციის ბარომეტრი: https://www.irex.org/sites/default/files/VIBE_2022_Georgia%20(1).pdf , 2022.

პროოპოზიციური მედიასაშუალებები.[15] როგორც წესი, პოლარიზაცია იზრდება მნიშვნელოვანი და სენსიტიური სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების პერიოდში.[16]

DW Akademie-ის 2022 წლის კვლევის თანახმად, მედიის პოლარიზაცია ქართული მედიაგარემოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად სახელდება. კვლევის მონაწილე ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ადამიანები სხვადასხვა მედიასაშუალებების მხრიდან ერთსა და იმავე მოვლენაზე მკვეთრად განსხვავებულ ინტერპრეტაციებს იღებენ.[17] ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მედიაში არსებული პოლარიზაცია კიდევ უფრო ზრდის საზოგადოებაში არსებულ გაყოფას.[18] ამ დროს მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი მაუწყებლის როლი, რომელიც მიუკერძოებლად უნდა ასახავდეს ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მრავალფეროვნებას, მაგრამ საქართველოში საზოგადოებრივი მაუწყებელი ასევე პოლიტიკურად მიკერძოებულია.[19]

ტელეკომპანია „იმედი“ ქვეყანაში ყველაზე გავლენიანი მედიაკომპანიაა, ღიად პროსახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკით. ტელევიზიის 100%-იან წილს Georgian Media Production Group ფლობს. „იმედი“ ჰოლდინგის ნაწილია, რომლის შემადგენლობაშიც შედის ტელეკომპანია „მაესტრო“ და GDS. 2017 წლამდე GDS „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის ოჯახის საკუთრება იყო.

„რუსთავი 2“ კიდევ ერთი გავლენიანი და ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილი არხია.[20] ტელევიზიის მფლობელის ცვლილება ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული მოვლენა იყო, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მედიაგარემოზე.[21] 2019 წელს არხი

---

[15] მედიის, ინფორმაციის და სოციალური კვლევების ცენტრი, საქართველოს რეგიონების დეზინფორმაციისადმი მედეგობის ინდექსი 2023: http://www.cmis.ge/projects/rdri/ka

[16] კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის, მედიაგარემო, https://osgf.ge/wp-json/wi/validate/v1/file?wifile=wp-content/uploads/2021/01/Media-Environment_Georgia.pdf 2020.

[17] დოიჩე ველე, საქართველო: მედიის თავისუფლება იკლებს, 2023: https://akademie.dw.com/en/georgia-media-freedom-in-decline/a-65076202

[18] მედიაჩეკერი, მედია და პოლარიზაცია: https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/67845-media-da-polarizacia

[19] ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, საქართველოს 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა: https://drive.google.com/file/d/1uO47IcIX6gzyw4P1QCrvkYT18hMrGPC9/view

[20] ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, საქართველოს 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა: https://drive.google.com/file/d/1uO47IcIX6gzyw4P1QCrvkYT18hMrGPC9/view?pli=1

[21] აირექსი, მედიის მდგრადობის ინდექსი 2017: https://www.irex.org/sites/default/files/pdf/media-sustainability-index-europe-eurasia-2017-georgia.pdf

ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილი ბიზნესმენის, ქიბარ ხალვაშის მფლობელობაში გადავიდა. 2021 წელს „რუსთავი 2-მა “„პრაიმ ტაიმთან“ ერთად ჰოლდინგი - სს „მედია ჰოლდინგი“ შექმნა. „მედია ჰოლდინგს“ გადაეცა „კომედი არხის“ და „მარაოს“ მაუწყებლობის უფლებაც. „პრაიმ ტაიმს“ თავის მხრივ თამარ ფხაკაძე და გიორგი ქუთათელაძე ფლობენ.[22]

„მთავარი არხი“ 2019 წლის სექტემბერში გავიდა ეთერში. მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი და თანამფლობელი „რუსთავი 2“-ის ყოფილი გენერალური დირექტორი ნიკა გვარამიაა.[23] მცირე დროში ტელევიზიამ შეძლო მნიშვნელოვანი გავლენა მოეპოვებინა საზოგადოებრივ აზრზე. აუდიტორიის წილით „მთავარი არხი“ წამყვან ადგილს იკავებს.[24] არხის სარედაქციო პოლიტიკა პროოპოზიციურია.[25] ნიკა გვარამიას პროკურატურამ ბრალი 2019 წელს წარუდგინა, რაც „რუსთავი 2-ის“ დირექტორობისას მიღებულ მენეჯერულ გადაწყვეტილებებს უკავშირდებოდა. გვარამიას 3 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიესაჯა.[26] მან პატიმრობაში 1 წელზე მეტი გაატარა. 2023 წლის 22 ივნისს, საქართველოს პრეზიდენტმა გვარამია შეიწყალა.[27]

აირექსი, მედიის მდგრადობის ინდექსი 2018: https://www.irex.org/sites/default/files/pdf/media-sustainability-index-europe-eurasia-2018-georgia-2.pdf

აირექსი, მედიის მდგრადობის ინდექსი 2019: https://www.irex.org/sites/default/files/pdf/media-sustainability-index-europe-eurasia-2019-georgia.pdf

[22] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ვის ეკუთვნის ქართული მედია, https://docs.google.com/viewerng/viewer?url=https://www.transparency.ge/sites/default/files/media_mplobeloba_2.pdf, 2018.

[23] ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან: https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFN9aeUAqpHZau4QXEodd6mkn]uyiX5ByLCBVnkDwKsJr

[24] კომპანია ნილსენი: http://www .tvmr.ge/#!en/tam_results/1:633:0/07|08|2023%20-%2013|08|2023

[25] აირექსი, ჯანსაღი ინფორმაციის ბარომეტრი 2022: https://www.irex.org/sites/default/files/VIBE_2022_Georgia%20(1).pdf

[26] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველი, სააპელაციო სასამართლომ ნიკა გვარამია პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეზე პატიმრობაში დატოვა, 2022 წლის 02 ნოემბერი: https://transparency.ge/ge/post/saapelacio-sasamartlom-nika-gvaramia-politikurad-motivirebul-sakmeze-patimrobashi-datova

CPJ: უფლებადამცველი ორგანიზაციები საქართველოს პრეზიდენტს ჟურნალისტ ნიკა გვარამიას გათავისუფლებისკენ მოუწოდებენ, 2023 წლის 20 აპრილი, https://cpj.org/2023/04/cpj-rights-groups-call-on-georgia-president-to-release-journalist-nika-gvaramia/

[27]რადიო თავისუფლება, თავდასხმა და აგრესია, რომელიც პრეზიდენტს ელის? https://www.radiotavisupleba.ge/a/32472559.html, 2023 წლის 23 ივნისი.

ტელეკომპანია „ფორმულა“, ასევე, 2019 წელს გავიდა ეთერში. 2023 წლის აგვისტომდე არხის საკონტროლო პაკეტის (51%) მფლობელი იყო წინა ხელისუფლების პერიოდის („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“) თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი. მას უზენაესმა სასამართლომ 2021 წელს თავდაცვის მინისტრობის დროს თანხის გაფლანგვის საქმეზე 5 წლით პატიმრობა მიუსაჯა. ასევე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, დავით კეზერაშვილისთვის 5 მილიონი ევროს გადახდა აქვს დაკისრებული.[28] ის ამჟამად საქართველოში არ ცხოვრობს. ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების განცხადებით, კეზერაშვილის წინააღმდეგ საქმეების გააქტიურება განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდებში ხდება, რაც მიუთითებს შესაძლო პოლიტიკურ მოტივზე ხელისუფლების მხრიდან, რომლის საბოლოო მიზანი ტელეკომპანია „ფორმულაზე“ ზეგავლენის მოხდენაა.[29] 2023 წელს ბრიტანული მედიასაშუალება BBC-ის ჟურნალისტურმა გამოძიებამ[30] კეზერაშვილი გლობალურ თაღლითურ ქსელთან დააკავშირა. ამის შემდეგ კეზერაშვილმა, ტელეკომპანია „ფორმულას“ თანამშრომლებთან შეთანხმებით, მათ საკუთარი წილის 25% გადაუფორმა.[31] ექსპერტთა შეფასებით, ტელეკომპანია „ფორმულა“ ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ მედიასაშუალებას წარმოადგენს.[32]

„ტვ პირველმა“ მაუწყებლობა 2015 წელს დაიწყო, თავდაპირველად - როგორც სპორტულმა არხმა, მოგვიანებით კი მიმართულება შეიცვალა და

---

[28] ინტერპრესნიუსი, სააპელაციო სასამართლომ თავდაცვის სამინისტროსთვის 5 მილიონი ევროს გადახდის თაობაზე დავით კეზერაშვილის მიმართ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა, https://www.interpressnews.ge/ka/article/749269-saapelacio-sasamartlom-tavdacvis-saministrostvis-5-milioni-evros-gadaxdis-taobaze-davit-kezerashvilis-mimart-sakalako-sasamartlos-gadacqvetileba-zalashi-datova/ , 2023 წლის 21 მარტი.

[29] მედიის ადვოკატირების კოალიციის განცხადება, დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ წარმოებული დავა ტელეკომპანია "ფორმულაზე" ზეგავლენის მოხდენას ისახავს მიზნად, https://transparency.ge/ge/post/davit-kezerashvilis-cinaagmdeg-carmoebuli-dava-telekompania-pormulaze-zegavlenis-moxdenas, 2021 წლის 30 სექტემბერი.

[30] Civil.ge, BBC-ის ჟურნალისტური გამოძიება კეზერაშვილს თაღლითობის გლობალურ ქსელთან აკავშირებს, https://civil.ge/ka/archives/537347, 2023 წლის 12 აპრილი.

[31] რადიო თავისუფლება, რეესტრმა დავით კეზერაშვილს „ფორმულაში“ წილების გადაცემის მოთხოვნა დაუკმაყოფილა, https://www.radiotavisupleba.ge/a/32552187.html, 2023 წლის 17 აგვისტო.

[32] აირექსი, ჯანსაღი ინფორმაციის ბარომეტრი 2022: https://www.irex.org/sites/default/files/VIBE_2022_Georgia%20(1).pdf
მედიაჩეკერი, კრიტიკული ტელევიზიები: „ჩვენ წინააღმდეგ ორკესტრირებული სადამსჯელო ქმედებაა მომართული“, https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/92534-kritikuli-televiziebi-chven-tsinaaghmdeg-orkestrirebuli-sadamsjelo-qmedebaa-momarthuli, 2022 წლის 12 აგვისტო.

სოციალურ-პოლიტიკური საკითხების გაშუქება დაიწყო. ტელევიზიას ხელისუფლების მიმართ კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკა აქვს.[33] ხელისუფლებას არაერთი მცდელობა ჰქონდა საკუთარი გავლენის ქვეშ მოექცია არხი, რა დროსაც მისი მფლობელის ოჯახის წევრის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.[34] საქმესთან დაკავშირებით, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ ხელისუფლებას პოლიტიკური მიზანი ამოძრავებდა, რაც არხის სარედაქციო პოლიტიკას უკავშირდება.[35] შპს „ტვ პირველის“ 100%-იანი წილის მფლობელი ვახტანგ წერეთელია.

საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიას „საზოგადოებრივი მაუწყებელის“ სტატუსი 2004 წელს მიენიჭა. 2017 წელს საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად „კანონი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობას სახელმწიფო უწყებებისაგან და თავისუფლებას პოლიტიკური და არსებითი კომერციული გავლენისაგან“. საზოგადოებრივი მაუწყებლი ყველაზე მაღალშემოსავლიანა ტელევიზიებს შორის მზარდი და გარანტირებული საბიუჯეტო დაფინანსებით. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად,[36] ტელევიზიის წლიური დაფინანსება მთლიანი შიდა პროდუქტის არანაკლებ 0,14%-ია. თუმცა ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვლილებების შედეგად მაუწყებლის დაფინანსების მოდელი იცვლება. კერძოდ, 2026 წლიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტი იქნება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებში წინა წლის დასაქმებულ ფიზიკურ პირთა რაოდენობისა და საზოგადოებრივი მაუწყებლობის ბიუჯეტის დაფინანსების კოეფიციენტის – 64 ლარის ნამრავლის შედეგად მიღებული თანხა.[37] სადაო ცვლილებების შემდეგ მაუწყებლის ხელმძღვანელობამ ცალკეული გადაცემა დახურა. არასამთავრობო და მედია სექტორი საზოგადოებრივი

[33] საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, საქართველოს 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა, 2021: https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/2021_GE_election_media_monitoring_tv_news_geo.pdf

[34] Civil.ge, სასამართლომ ხაზარაძე, ჯაფარიძე და წერეთელი გაამტყუნა, თუმცა მათ არ დაიჭერენ, https://civil.ge/ka/archives/466249, 2022 წლის 12 იანვარი.

[35] საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, თიბისი ბანკის და ანაკლიის პორტის დამფუძნებლების წინააღმდეგ დაწყებული გამოძიების ისტორია, https://www.transparency.ge/ge/blog/tibisi-bankis-da-anakliis-portis-dampuzneblebis-cinaagmdeg-dacqebuli-gamoziebis-istoria, 2020 წლის 27 მაისი.

[36] საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“: https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866ს

[37] Civil.ge, https://civil.ge/ka/archives/574776, 2023 წლის 18 დეკემბერი.

მაუწყებლის ხელმზღვანელობას აკრიტიკებს ტელევიზიაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების არასათანადო ინფორმირებაში.[38]

მაუწყებელს შეუძლია გარკვეული რაოდენობის კომერციული შემოსავლის მიღებაც.[39] საზოგადოებრივ მაუწყებელს მართავენ გენერალური დირექტორი და სამეურვეო საბჭო. საბჭოში აირჩევიან წევრები მმართველი პარტიის, საპარლამენტო ოპოზიციაში შემავალი იმ ფრაქციების წარდგინებით, რომლებშიც ყველაზე მეტი პარლამენტის წევრია გაერთიანებული, ასევე სახალხო დამცველის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით.[40] ამის მიუხედავად, საბჭოს არჩევნები პოლიტიზებულია, მოქცეულია მმართველი პარტიის გავლენის ქვეშ.[41] გარდა ამისა, გენერალური დირექტორის არჩევნებიც, ასევე, ძირითადად, პოლიტიზებულია და მმართველი პარტიის ინტერესს ასახავს.[42] მნიშვნელოვანია, რომ წლების განმავლობაში „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ხელისუფლებისადმი მიკერძოებული სარედაქციო პოლიტიკით გამოირჩევა. 2022 წელს, არხის ჟურნალისტების ბრალდებებმა „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ ცენზურის შესახებ დაადასტურა არხის პოლიტიკური მიკერძოება. [43]

„პოსტვ“ პროსახელისუფლებო არხია, რომელიც ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ადამიანების წინააღმდეგ მადისკრედიტებელი კამპანიების გავრცელებით არის ცნობილი.[44] შპს „პოსტვ“ საჯარო რეესტრში 2017 წელს დარეგისტრირდა. 2022 წელს არხის 52%-ის მფლობელი „ხალხის ძალის“ დეპუტატი ვიქტორ ჯაფარიძე გახდა. „პოსტვის“ ერთ-ერთი

---

[38] მედიის ადვოკატირების კოალიცია, http://mediacoalition.ge/ge/a/0de59cca, 2023 წლის 27 დეკემბერი.

[39] „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 2018: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3966451?publication=0 ; ინფორმაციის განვითარების და თავისუფლების ინსტიტუტი, საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსება და რეიტინგი რეფორმის დაწყებიდან 3 წლის შემდეგ, 2020: https://idfi.ge/ge/funding_and_rating_of_public_broadcaster

[40] საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ”, https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=69

[41] კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის, მედიაგარემო საქართველოში 2020: https://osgf.ge/wp-json/wi/validate/v1/file?wifile=wp-content/uploads/2021/01/Media-Environment_Georgia.pdf ;

[42] კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის, მედიაგარემო საქართველოში 2020: https://osgf.ge/wp-json/wi/validate/v1/file?wifile=wp-content/uploads/2021/01/Media-Environment_Georgia.pdf

[43] მედიაჩეკერი, მაუწყებელში მაღლაფერიძის გავლენა ძლიერდება - ინტერვიუ პირველი არხიდან წამოსულ ქეთი თუთბერიძესთან, https://www.mediachecker.ge/ka/interviu/article/91817-mautsyebelshi-maghlaferidzis-gavlena-dzlierdeba-interviu-pirveli-arkhidan-tsamosul-qethi-thuthberidzesthan , 2022 წლის 4 მაისი.

[44] მედიაჩეკერი, პოს ტვ (POS TV), 2019: https://mythdetector.ge/ka/profiles/pos-tv-pos-tv/

თანამფლობელი და ჟურნალისტი შალვა რამიშვილი წინა ხელისუფლების პერიოდში თანხის გამოძალვის ბრალდებით სასჯელს იხდიდა.[45] 2018 წელს რამიშვილს ყოფილმა თანამშრომელმა თათია სამხარაძემ დავა სექსუალური შევიწროების საქმეზე ორი ინსტანციის სასამართლოში მოუგო.[46]

✧ ქართული მედიაგარემო საერთაშორისო შეფასებებში/რეიტინგებში

საქართველო მრავალი წლის განმავლობაში რეგიონში მოწინავე ქვეყანად ითვლებოდა მისი მიღწევების გამო. ქვეყანამ შეძლო განემტკიცებინა დემოკრატიული ინსტიტუტები და გაეტარებინა მნიშვნელოვანი რეფორმები.[47] თუმცა, ბოლო წლებია ეს მიღწევები სტაგნაციას განიცდის. ამის მიზეზებს შორის ერთ-ერთი მედიაპლურალიზმის, მედიის დამოუკიდებლობის ხარისხის საგრძნობი გაუარესებაა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მთავრობის მხრიდან კრიტიკული მედიის შევიწროებამ, ჟურნალისტებზე თავდასხმებმა და დამნაშავეთა დაუსჯელობამ, ხელისუფლების მიმართ კრიტიკული მედიასაშუალებების მფლობელების წინააღმდეგ წარმოებულმა სასამართლო საქმეებმა და ნიკა გვარამიას პატიმრობამ ქვეყანაში მედიის თავისუფლების ხარისხი შეარყია.

ორგანიზაციის - „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ (RSF) შეფასების თანახმად, როდესაც ჟურნალისტებზე 2022 წლის 5 ივლისს მასიური, მიზანმიმართული თავდასხმა განხორციელდა, ქვეყანამ 89-ე ადგილი დაიკავა 180 ქვეყნიდან, რაც მნიშვნელოვანი გაუარესება იყო. 2023 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველო 77-ე ადგილზეა, მაგრამ RSF შეფასების მიხედვით, ქვეყანა რჩება პრობლემური ქვეყნების კატეგორიაში.[48]

IREX-ის 2023 წლის ანგარიშში ხაზგასმულია მთავრობის მხრიდან დეზინფორმაციის და სიძულვილის ენის გამოყენება კრიტიკული მედიის წინააღმდეგ. წინა წელთან შედარებით ქვეყანის პოზიცია არ შეცვლილა Vibrant Information Barometer-ის რეიტინგში, მაგრამ ქულა შემცირდა (16-დან 13-მდე).[49]

---

[45] civil.ge , შალვა რამიშვილის სასამართლო პროცესი, https://old.civil.ge/geo/article.php?id=11438 , 2006.

[46] რადიო თავისუფლება, საქმე დასრულებულია: თათია სამხარაძემ შალვა რამიშვილს მეორე ინსტანციაშიც მოუგო, https://www.radiotavisupleba.ge/a/29868771.html , 2019 წლის 8 აპრილი.

[47] ევროპის პარლამენტი, საქართველოს რთული გზა დემოკრატიისაკენ ევროპული მომავლის გზაზე? https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2021/690626/EPRS_BRI(2021)690626_EN.pdf

[48] რეპორტიორები საზღვრებ გარეშე: https://rsf.org/en/country/georgia

[49] აირექსი, ჯანსაღი მედიის ბარომეტრი, https://www.irex.org/sites/default/files/VIBE_2023, Georgia.pdf, 2023.

Freedom House-ის „გარდამავალ ეტაპზე მყოფი სახელმწიფოები 2023“ შეფასების თანახმად,[50] დამოუკიდებელი მედიის რეიტინგი შემცირდა, რაც განპირობებულია ჟურნალისტების მიმართ ძალადობრივი გარემოს მრავალწლიანი ტენდენციით, პოლარიზებული და პოლიტიზებული მედიაგარემოთი და ხელისუფლების მიმართ კრიტიკული მედიასაშუალების დირექტორის დაპატიმრებით. მედიაგარემოს ქულის გაუარესების შედეგად საქართველოს დემოკრატიის ქულის გაუარესებაც მოჰყვა.[51] ამავე ორგანიზაციის ანგარიშში, რომელიც ინტერნეტის თავისუფლებას ეხება, საქართველო წლებია ინარჩუნებს თავისუფალი ქვეყნის სტატუსს.[52]

2022 წელს ადამიანის უფლებათა ორგანიზაცია „ამნესთი ინტერნეშენალმა“ „მთავარი არხის“ დირექტორის, ნიკა გვარამიას, დაპატიმრებას „განსხვავებული აზრის პოლიტიკური მოტივით ჩახშობა“ უწოდა.[53] „ამნესთი ინტერნეშენელმა“ დაგმო „ხელისუფლების მხრიდან მზარდი აგრესიული რიტორიკა და ცილისწამების საჩივრები კრიტიკული ჟურნალისტების წინააღმდეგ, რასაც მსუსხავი ეფექტი აქვს გამოხატვის თავისუფლებაზე, ისევე როგორც ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების წარუმატებლობას“.[54] „ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტმა“ (CPJ)[55] და „რეპორტიორებმა საზღვრებს გარეშე“ ნიკა გვარამია

---

[50] ფრიდომ ჰაუსი, საქართველო: ტრანზიციის საფეხურზე მყოფი ქვეყნები, 2023: https://freedomhouse.org/country/georgia/nations-transit/2023

[51] ფრიდომ ჰაუსი, დემოკრატიის ქულები 2023: https://freedomhouse.org/countries/nations-transit/scores

[52] ფრიდომ ჰაუსი, ინტენეტის თავისუფლება 2023: https://freedomhouse.org/countries/freedom-net/scores

[53] საერთაშორისო ამნისტია, საქართველო: ოპოზიციური მედიის მფლობელის ნიკა გვარამიას განაჩენის გამოტანა განსხვავებული ხმის პოლიტიკური მოტივით გაჩუმებაა, 2022 წლის 17 მაისი: https://www.amnesty.org/en/latest/news/2022/05/georgia-sentencing-of-pro-opposition-media-owner-nika-gvaramia-a-political-motivated-silencing-of-s-dissenting-voice/?utm_source=annual_report&utm_medium=epub&utm_campaign=2021

[54] საერთაშორისო ამნისტია, საქართველო 2022: https://www.amnesty.org/en/location/europe-and-central-asia/georgia/report-georgia/

[55] CPJ, საქართველოში ერთი ჟურნალისტია დაკავებული: https://cpj.org/data/imprisoned/2022/?status=Imprisoned&cc_fips%5B%5D=GG&start_year=2022&end_year=2022&group_by=location ;
რეპორტიორები საზღვრებს გარეშე, მსოფლიო: ჟურნალისტებზე თავდასხმა რეალურ დროში, საქართველო, 2021, https://rsf.org/en/barometer?exaction_pays_pays=176&exaction_pays_annee=2021&exaction_pays_statut=prison&type%5Bemprisonnement%5D=emprisonnement&exaction_victimes_pays%5B176%5D=176&annee_start=2023&annee_end=2023#exaction-pays

თავის დროზე პროფესიული საქმიანობისას დაპატიმრებული ჟურნალისტების სიაში შეიყვანეს.[56]

2022 წლის რეზოლუციაში ევროპის პარლამენტმა კრიტიკულად შეაფასა ბოლო წლებში საქართველოში მედიის თავისუფლების ხარისხი და ჟურნალისტთა უსაფრთხოების კუთხით არსებული გამოწვევები.[57]

✧ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი

2022 წელს, საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად წარდგენილი განაცხადის საპასუხოდ, ევროკომისიამ საქართველოს „ევროპული პერსპექტივა“ მიანიჭა. კანდიდატის სტატუსის მისაღებად, საქართველოს 12 რეკომენდაციის შესრულება დაევალა.[58] ევროკომისიის რეკომენდაციებს შორის იყო თავისუფალი, პლურალისტური და დამოუკიდებელი მედიაგარემოს უზრუნველყოფა, პოლიტიკური პოლარიზაციის დაძლევა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა, ინსტიტუციების დამოუკიდებლობა, დამოუკიდებელი სასამართლოს ხელშეწყობა, დეოლიგარქიზაცია. ეს გულისხმობს პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი პროცესებიდან გადაჭარბებული გავლენების აღმოფხვრას, ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ეფექტურ ბრძოლას და სხვ.[59]

მედიაგარემოსთან დაკავშირებით, მეშვიდე რეკომენდაციაში აღნიშნული იყო:

„უფრო ძლიერი ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული თავისუფალი, პროფესიული, პლურალისტური და დამოუკიდებელი მედიაგარემოს

---

[56] რეპორტიორები საზღვრებს გარეშე, საქართველო: RSF ითხოვს ოპოზიციური ტელევიზიის ხელმძღვანელის ნასამართლობის, პატიმრობის განაჩენის გადახედვას: https://rsf.org/en/georgia-rsf-seeks-review-opposition-tv-chief-s-conviction-jail-sentence?fbclid=IwAR1d7uLOb4bY9K0PlKUYLBt4-VFs2EGdpCK_6vbCPR1JJO0lg2WfJvHH7vk

[57] მედიის თავისუფლებისა და ჟურნალისტების უსაფრთხოების დარღვევები საქართველოში. ევროპარლამენტის 2022 წლის 9 ივნისის რეზოლუცია მედიის თავისუფლების დარღვევებთან და ჟურნალისტების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საქართველოში (2022/2702(RSP)): https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-9-2022-0239_EN.pdf

[58]ევროპკომისიის მოსაზრება საქართველოს ევროკავშირში წევრობის განაცხადის შესახებ https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2022-06/Georgia%20opinion%20and%20Annex.pdf, 17.06.22.

[59] რადიო თავისუფლება, ევროკომისიის შენიშვნები 12 რეკომენდაციაზე - რა ითქვა ელჩებთან დახურულ შეხვედრაზე, https://www.radiotavisupleba.ge/a/32468959.html, 2023 წლის 21 ივნისი.

უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით იმისთვის, რომ მედიის მფლობელთა წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლებრივი პროცედურები აკმაყოფილებდეს უმაღლეს სამართლებრივ სტანდარტებს და ჩატარდეს მიუკერძოებელი, ეფექტიანი და დროული გამოძიებები ჟურნალისტებისა და მედიის სხვა წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართული საფრთხეების შემთხვევებზე.“

რეკომენდაციების გაცემიდან ერთი წლის შემდეგ, ევროკომისიამ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებს წარუდგინა ზეპირი მოხსენება,[60] სადაც შეაფასა საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის პროგრესი ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში. მედიაპლურალიზმი აღმოჩნდა ერთადერთი რეკომენდაცია, რასთან დაკავშირებითაც, ევროკომისიის შეფასებით, საქართველოს არ ჰქონია პროგრესი. *„ევროკომისიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ საჭიროა ჟურნალისტების უსაფრთხოების დაცვა, ჟურნალისტებისა და მედიასაშუალებების მფლობელების უფლებების დაცვის დონის ამაღლება და ახსენეს ცვლილებების საჭიროება მაუწყებლობის შესახებ კანონში“*.

„ღია საზოგადოების ფონდის“ ხელმძღვანელობით, სამოქალაქო ორგანიზაციები აკვირდებიან საქართველოს მთავრობის მხრიდან რეკომენდაციების შესრულებას.[61] 2023 წლის 1 აგვისტოს ანგარიშში დადებით მოვლენად ჩაითვალა მათ შორის ტელეკომპანია „მთავარი არხის“ დირექტორის, ნიკა გვარამიას შეწყალება საქართველოს პრეზიდენტის მიერ..[62]

მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები “მაუწყებლობის შესახებ” კანონში. კანონპროექტი სიძულვილის ენის რეგულირებას ითვალისწინებდა, კერძოდ - თვითრეგულირებიდან სახელმწიფო რეგულირებაში გადატანას. შემდგომ კანონპროექტს უხამსობის რეგულირებაც დაემატა. ამ ცვლილებებით, მარეგულირებელ კომისიას ენიჭება უფლება მედიის შინაარსში დაადგინოს დარღვევა და მიიღოს

[60] რადიო თავისუფლება, ევროკომისიის შენიშვნები 12 რეკომენდაციაზე - რა ითქვა ელჩებთან დახურულ შეხვედრაზე, https://www.radiotavisupleba.ge/a/32468959.html, 2023 წლის 21 ივნისი,.

[61] სტატუსმეტრი 4.0 - როგორ მიდის საქართველო ევროკომისიის 12 პირობის შესრულებისკენ, https://osgf.ge/statusmetri-rogor-midis-saqartvelo-evrokomisiis-12-pirobis-shesrulebisken-3/, 27 ივნისი, 2023

[62] სტატუსმეტრი 5.0 - როგორ მიდის საქართველო ევროკომისიის 12 პირობის შესრულებისკენ: https://osgf.ge/wp-content/uploads/2023/08/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98-5.0..pdf

შესაბამისი გადაწყვეტილება. მედიის ადვოკატირების კოალიციის შეფასებით, კანონის მიღებისას პარტია „ქართულმა ორცნებამ" არ უზრუნველყო მედიისა და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობა და გადაწყვეტილება ფართო კონსესუსის შესაბამისად არ მიიღო.[63]

2023 წლის 8 ნოემბერს კი ევროკომისიამ საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებაზე რეკომენდაცია გასცა. თუმცა, ეს რეკომენდაცია მთელ რიგ დათქმებს შეიცავს, მათ შორის შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფას, მედიაპროფესიონალებისა და სამოქალაქო აქტივისტების მიმართ მუქარის ფაქტებზე ეფექტურ გამოძიებას, მარეგულირებელი კომისიის ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტირებას.[64]

ჯერ კიდევ სერიოზულ გამოწვევად რჩება ჟურნალისტების და ზოგადად მედიის წარმომადგენლების უსაფრთხოება, განსაკუთრებით კრიტიკული მედიასაშუალებების წარმომადგენლების, მათი მფლობელების მიმართ წარმოებული საქმეების გამოძიება, მმართველი პარტიის წარმომადგენლებისა და მასთან დაკავშირებული პირების მხრიდან ჟურნალისტების წინააღმდეგ მიმართული სასამართლო საქმეების რაოდენობის ზრდა (SLAPP).

2023 წლის 14 დეკემბერს კი ევროპულმა საბჭომ პოზიტიური გადაწყვეტილება მიიღო საქართველოსთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების თაობაზე.[65]

✧ „რუსული კანონი" მედიის წინააღმდეგ

2022 წლის თებერვალში მმართველმა პარტიამ „ქართული ოცნებამ" ე.წ. რუსული კანონის ინიცირება მოახდინა. რეალურად კი პარტიიდან წასული დეპუტატების მიერ შექმნილმა მოძრაობა „ხალხის ძალამ" დაარეგისტრირა ორი კანონპროექტი განსხვავებული სახელწოდებით, მაგრამ იგივე შინაარსით.[66] კანონპროექტის მიხედვით, საქართველოში რეგისტრირებული მედიასაშუალებები და სამოქალაქო ორგანიზაციები, რომელთა

[63] მედიის ადვოკატირების კოალიციის განცხადება: http://mediacoalition.ge/ge/a/af5a914a

[64] რადიო თავისუფლება: https://shorturl.at/emQZ4: 8 ნოემბერი, 2023.

[65] Civil.ge, https://civil.ge/ka/archives/574504 14 დეკემბერი 2023

[66] Civil.ge https://civil.ge/ka/archives/527700, რადიო თავისუფლება, ეს რუსული კანონია - დეგნანი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონპროექტზე, https://www.radiotavisupleba.ge/a/32286367.html.

შემოსავლების 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ფონდები და დონორებია, ე.წ. უცხოური გავლენის აგენტების რეესტრში უნდა დარეგისტრირებულიყვნენ. რუსული კანონის ინიცირება ემთხვევა ქვეყანაში მმართველი პარტიის მხრიდან ანტიდასავლური რიტორიკის გაძლიერებას. პარალელურ რეჟიმში, პროსახელისუფლებო მედია სისტემატურად ამზადებდა მადისკრედიტებელ სიუჟეტებს სამოქალაქო სექტორისა და მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ.[67] აღსანიშნავია ისიც, რომ წლების განმავლობაში, „ქართული ოცნების“ მხრიდან პერმანენტულად ისმის მედიის მიმართ დაუსაბუთებელი და მადისკრედიტებელი განცხადებები.[68]

ადგილობრივი და საერთაშორისო სამოქალაქო ორგანიზაციების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორების და პოლიტიკოსების შეფასებით,[69] ინიცირებული კანონი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა ქვეყნის ევროპული მომავლის გზაზე, ადამიანის უფლებების და დემოკრატიზაციის თვალსაზრისით, საფრთხეს უქმნიდა გამოხატვის თავისუფლებას და შესაბამისად - პლურალისტულ მედიაგარემოს. ამის მიუხედავად, „ქართულმა ოცნებამ“ „რუსულ კანონს“ მხარი პირველივე მოსმენით დაუჭირა. სესიაზე განსახილველად კანონპროექტი საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერით გავიდა.[70] კანონპროექტის განხილვის პარალელურად მის

---

[67] ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ცოტნე გეგეჭკორის და ირაკლი ჩიხლაძის წინააღმდეგ, https://www.qartia.ge/siakhleebi/article/93445-gadatsyvetileba-saqmeze-saqarthvelos-akhalgazrda-iuristtha-asociacia-cotne-gegetckoris-da-irakli-chikhladzis-tsinaaghmdeg 2022 წლის 23 დეკემბერი:

[68] რადიო თავისუფლება, „ქალის სახე დაკარგე... პირი მოიწმინდე“, - ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტს შეურაცხყოფა მიაყენა, https://www.radiotavisupleba.ge/a/31959128.html, 2022 წლის 25 ივლისი.
ტელეკომპანია „ფორმულა“, გაბოროტებული იყო, ყბა აუკანკალდა, პირზე დუჟი მოადგა - კობახიძე ჟურნალისტს კვლავ თავს ესხმის: https://formulanews.ge/News/74741
საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, საქართველოს მედიაგარემო 2016-2020 წლებში, 2020: https://transparency.ge/ge/post/sakartvelos-mediagaremo-2016-2020-clebshi

[69] რადიო თავისუფლება, „ხალხის ძალის“ მიერ წარდგენილი კანოპონპროექტი შემაშფოთებელია - ბორელი, 2023 წლის 21 თებერვალი: https://www.radiotavisupleba.ge/a/32281360.html
რადიო თავისუფლება, ეს რუსული კანონია - დეგნანი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტზე, 2023 წლის 26 თებერვალი: https://www.radiotavisupleba.ge/a/32286367.html
ნეტგაზეთი, გაერთიანებული სამეფო შეშფოთებულია „აგენტების“ კანონპროექტით, 2023 წლის 1 მარტი: https://netgazeti.ge/news/657636/
ნინო ჩიჩუა, ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი საქართველოს პარლამენტს მიმართავს ნეტგაზეთი, 2023 წლის 28 თებერვალი: https://netgazeti.ge/opinion/657314/

[70] ნინო ბიძინაშვილი, პარლამენტმა I მოსმენით დაუჭირა მხარი რუსულ კანონს – 76 მომხრე, https://netgazeti.ge/life/658787/ , 2023 წლის 7 მარტი.

წინააღმდეგ იმართებოდა მრავალათასიანი აქციები.[71] სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგობის შედეგად, საპარლამენტო უმრავლესობამ „რუსულ კანონი“ ჩააგდო.[72]

2. ფიზიკური ძალადობა, მუქარა და დაშინება

გამოხატვისა და სიტყვის თავისუფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით და სხვა სამართლებრივი დოკუმენტებით, მაგრამ ჟურნალისტების უსაფრთხოება, ჟურნალისტთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების მიმართ სახელმწიფოს მხრიდან გულგრილი დამოკიდებულება და დაუსჯელობა ქართული მედიაგარემოსთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რაც კიდევ უფრო ახალისებს დანაშაულს მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ.

DW Akademie-ის 2022 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩატარებულ კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა (ჟურნალისტები) აბსოლუტურმა უმრავლესობამ (93%) განაცხადა, რომ თავს ნაკლებად დაცულად გრძნობს, ვიდრე სამი წლის წინ. *„გამოკითხული ჟურნალისტების უმეტესობას მიაჩნია, რომ ხელისუფლებამ თავისი წვლილი შეიტანა ამ მტრული გარემოს ჩამოყალიბებაში,“* - ნათქვამია კვლევაში.[73] ამის მიზეზად ჟურნალისტების უმრავლესობა 2021 წლის 5-6 ივლისს, პრორუსული, ჰომოფობიური და მოძალადე ჯგუფების მხრიდან მედიის წარმომადგენლების მიმართ განხორციელებულ ძალადობას ასახელებს. ეს იყო ბოლო წლებში მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ განხორციელებული ყველაზე მასშტაბური, ორგანიზებული ძალადობა. თავდასხმის შედეგად დაზარალებულ „ტვ პირველის“ ოპერატორს, ალექსანდრე ლაშქარავას, ყბა-სახის ოპერაცია ჩაუტარდა. ლაშქარავა მომხდარიდან რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. თავდასხმის შედეგად 50-ზე მეტი ჟურნალისტი დაზარალდა. 5-6 ივლისის

[71] On.ge - სამართალდამცველებმა რუსული კანონის წინააღმდეგ მშვიდობიანი აქციის დაშლა დაიწყეს, https://shorturl.at/euzLV, 2023 წლის 7 მარტი.

[72] რადიო თავისუფლება, პარლამენტმა „აგენტების" კანონპროექტი ჩააგდო, https://www.radiotavisupleba.ge/a/32311562.html, 2023 წლის 10 მარტი.

[73] ელენა ზონდლერი, ეკატერინე ბასილაია, ალექსანდერ მათსკე, ეველინ მეიერი, საქართველო მედიის თავისუფლება იკლებს, 2023: https://akademie.dw.com/en/georgia-media-freedom-in-decline/a-65076202

საქმეზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული იყო ათეული პირი. თუმცა, ამავე დროს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა და სახალხო დამცველმა გამოთქვეს შეშფოთება, რომ თავდასხმის მთავარი ორგანიზატორები დაუსჯელები დარჩნენ. [74]

DW Akademie-ის კვლევის მიხედვით, ყველაზე მოწყვლად ჯგუფად მთავრობის მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედიასაშუალებების წარმომადგენლები განიხილებიან, განსაკუთრებით - რეპორტიორები და გამომძიებელი ჟურნალისტები. ფიზიკურ ძალადობასთან ერთად, ჟურნალისტების წინააღმდეგ გამოიყენება მუქარა, დაშინება, სიძულვილის ენა.[75] ამის მაგალითია თავდასხმა „მთავარი არხის“ ჟურნალისტზე და ოპერატორზე მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხაიშში 2023 წლის 26 აგვისტოს. ტელეკომპანიის ინფორმაციით, „თავდამსხმელებმა მედიის წარმომადგენლებს კამერა, მიკროფონი, გადამცემი და პირადი ტელეფონი წაართვეს და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს“.[76]

ჟურნალისტთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის და პრაქტიკის შეფასების ტექნიკურ დოკუმენტში,[77] რომელიც ევროპის საბჭოს ეგიდით მომზადდა, ხაზგასმულია ჟურნალისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით არსებული პრობლემები, როდესაც სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ჟურნალისტების სათანადო დაცვას. დოკუმენტში საუბარია საქართველოს კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებზე, კერძოდ, სისხლის სამართლის 154-ე მუხლის ფორმულირებასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ. ანგარიშში აღნიშნულია, რომ 154-ე მუხლის შეზღუდული შინაარსი არ არის საკმარისი იმის განსასაზღვრად, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს ჟურნალისტად. მუხლი სათანადოდ ვერ ასახავს ჟურნალისტური საქმიანობის სპეციფიკასაც. ჟურნალისტური საქმიანობის

---

[74] საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2022: https://ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf

[75] დოიჩე ველე, საქართველო მედიის თავისუფლება იკლებს, https://akademie.dw.com/en/georgia-media-freedom-in-decline/a-65076202, 2023.

[76] მედიის ადვოკატირების კოალიცია, კოალიცია ეხმიანება „მთავარი არხის“ ჟურნალისტსა და ოპერატორზე თავდასხმის ფაქტს: http://mediacoalition.ge/ge/a/a89238d6?fbclid=IwAR2Oxa7pTXt-qplM7fUSjRAbARRByENBq6Y5bNVirdmJu6swZHNR69BnpKA

[77] ჟურნალისტთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის და პრაქტიკის შეფასების ტექნიკური დოკუმენტი, ავტორი პიტერ ნორლანდერი, https://rm.coe.int/georgia-tp-review-of-soj-june2023-eng-2779-4462-8232-3/1680ac9348

ხელის შეშლა შედგება მხოლოდ ორი კომპონენტისგან - ჟურნალისტის იძულება ინფორმაცია გაავრცელოს ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისგან. ეს მნიშვნელოვან შეზღუდვას შეიძლება წარმოადგენდეს გამოძიების პროცესში. ოფიციალურ სტატისტიკას[78] თუ გადავხედავთ, მართალია, ბოლო წლებში იმატა 154-ე მუხლით განხილულმა საქმეებმა, მაგრამ მათი რაოდენობა სათანადოდ არ ასახავს არსებულ რეალობას.

წელი	154-ე მუხლით გამოძიებული საქმეების რაოდენობა
2023[79]	14
2022[80]	13
2021	19
2020	7
2019	13
2018	12
2017	2
2016	6

ევროპის საბჭოს დოკუმენტში ხაზგასმულია სამართალდამცავი ორგანოების (პროკურატურა და პოლიცია) არასათანადო შესაძლებლობები, ასევე სპეციალური განყოფილებების არარსებობა როგორც პოლიციაში, ისე პროკურატურაში. პოლიციაც და პროკურატურაც პასუხისმგებლები არიან

[78] საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2020: https://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf
საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022: https://ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf
საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021: https://ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf

[79] საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, https://transparency.ge/ge/blog/kartuli-mediis-mimart-zaladobis-2023-clis-statistika-da-saxelmcipos-reagireba , 2023 წლის 25 დეკემბერი. აღნიშნული სტატისტიკა მოიცავს 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 30 ნოემბრის პერიოდს, კერძოდ, ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის შემთხვევებს.

[80] ევროპის საბჭოს ტექნიკური დოკუმენტის თანახმად 2022 წელს ჯამში 35 საქმე იქნა გამოძიებული. აქვე შედის 5-6 ივლისის საქმეების გამოძიებაც, https://rm.coe.int/eng-final-for-printing-short-georgia-tp-soj-may2023/1680abb3d0.

ჟურნალისტების მიმართ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებასა და საპროკურორო ზედამხედველობაზე.[81]

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სამართალდამცავები ხშირად თავად უშლიან ჟურნალისტებს დემონსტრაციების თუ აქციების გაშუქებისას საქმიანობაში ხელს. მაგალითად, ე.წ. „რუსული კანონის“ წინააღმდეგ გამართული აქციების დაშლისას დაზარალდნენ ჟურნალისტები. ერთ-ერთი ანგარიშის თანახმად[82], გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ *„2023 წლის 2-9 მარტის პერიოდში მედიის წარმომადგენლებს სამართალდამცველები ხელს უშლიდნენ ჟურნალისტურ საქმიანობაში. ისინი იყენებდნენ ისეთ ძალადობრივ მეთოდებს, როგორიცაა: წიწაკის სპრეის სახეში შესხმა, წყლის ჭავლის დამიზნება, გაზის კაფსულების დამიზნებით სროლა, ფიზიკური შეურაცხყოფა (ქამრებით გათრევა, სქროლის სროლა, ჩარტყმა თავის არეში, მხარზე კამერით მომუშავე ოპერატორების ცემა ზურგის არეში, წიხლის ჩარტყმა), სიტყვიერი შეურაცხყოფა (გინება, დამამცირებელი მიმართვა, ძალადობის მუქარა), კამერაზე ხელის აფარება, იძულებით გაყვანა გადაღების ადგილიდან, პარლამენტის შენობიდან გაგდება და სხვა“*. ანგარიშის თანახმად, სულ მცირე 21 ჟურნალისტის შემთხვევაში იკვეთება დანაშაულის ნიშნები. დემონსტრაციების დროს ჟურნალისტების უფლებების დაუცველობა აღნიშნულია, ასევე, ევროსაბჭოს ტექნიკურ დოკუმენტშიც, როგორც ბოლო წლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა.[83]

ჟურნალისტების მიმართ ძალადობის შემთხვევები ხშირდება წინასაარჩევნო პერიოდსა და არჩევნების დღეს. მედიის ადვოკატირების კოალიციის ანგარიშის მიხედვით, 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების პირველი და მეორე ტურის დროს ჟურნალისტურ საქმიანობაში

[81] ჟურნალისტთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის და პრაქტიკის შეფასების ტექნიკური დოკუმენტი, ავტორი პიტერ ნორლანდერი, https://rm.coe.int/georgia-tp-review-of-soj-june2023-eng-2779-4462-8232-3/1680ac9348

[82] მედიაომბუსმენი, „არა რუსულ კანონს“, მეორე ანგარიში, 2023 წლის 7 ივლისი: https://drive.google.com/file/d/1gth9M6WFHVMwcsPf5dEYodXRt8rbPqmz/view?fbclid=IwAR33ar3zKGkzb_ZcbDJktpT9gcIbT_BY_0HN2f_7v_YpDOQHb9MOxWaQKKc&pli=1

[83] მაგ. 2019 წლის 20 ივლისს, ე.წ. „გავრილოვის ღამეს“ დაზარალებული მედიის წარმომადგენლები, ჟურნალისტთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის და პრაქტიკის შეფასების ტექნიკური დოკუმენტი, ავტორი პიტერ ნორლანდერი, https://rm.coe.int/georgia-tp-review-of-soj-june2023-eng-2779-4462-8232-3/1680ac9348.

ხელის შეშლის სულ მცირე 37 შემთხვევა დაფიქსირდა (სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა).[84]

3. პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები

საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში კრიტიკული მედიის წინააღმდეგ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. ასეთ საქმეებს ცალსახად „მსუსხავი ეფექტი“ აქვს ქვეყანაში მედიის თავისუფლებაზე და მნიშვნელოვნად აუარესებს ჟურნალისტების მიერ პროფესიული საქმიანობის შესრულებას.

2022 წელს საქართველოში მედიის თავისუფლების მდგომარეობის შესახებ ევროპარლამენტმა რეზოლუცია მიიღო, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ თავი შეიკავოს მედიის თავისუფლებაში ჩარევისგან, პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო საქმეების წარმოებისგან მედიის მფლობელებისა და წარმომადგენლების წინააღმდეგ.[85] ევროპარლამენტმა ქვეყანაში „დამოუკიდებელი მედიის მიმართ მზარდი მტრული გარემოს შესახებ“ შეშფოთება გამოთქვა. რეზოლუცია მოუწოდებს საქართველოს მთავრობას გადადგას ნაბიჯები მედიის თავისუფლების დასაცავად, მათ შორის, უზრუნველყოს, რომ ჟურნალისტებს შეეძლოთ მუშაობა შიშის გარეშე.

საქართველოს მთავრობამ უარყო, რომ მისი პოლიტიკა მიზნად ისახავს კრიტიკული მედიასაშუალებების შეზღუდვას და განაცხადა, რომ მზად არის დაიცვას მედიის თავისუფლება. თუმცა, არსებული საქმეების შეფასება და მტკიცებულებები სხვაგვარად მეტყველებს. საქართველოში კრიტიკული მედიასაშუალებების წინააღმდეგ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყანაში მედიის თავისუფლებას.

---

[84] კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის, მედიაგარემო 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე, პირველი და მეორე ტურები: https://drive.google.com/file/d/1m_eX6jCOx21G0nFTf70tYGlui8PD1ypS/view

[85] მედიის თავისუფლებისა და ჟურნალისტების უსაფრთხოების დარღვევები საქართველოში. ევროპარლამენტის 2022 წლის 9 ივნისის რეზოლუცია მედიის თავისუფლების დარღვევებთან და ჟურნალისტების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საქართველოში (2022/2702(RSP)): https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-9-2022-0239_EN.pdf

ნიკა გვარამიას საქმე

ნიკა გვარამიას საქმე შეიძლებ ჩაითვალოს ქვეყანაში პოლიტიკურად მოტივირებული და მიკერძოებული საქმის ერთ-ერთ სამწუხარო მაგალითად, რომელიც კრიტიკული მედიის ხელმძღვანელის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ნიკა გვარამია ცნობილი ქართველი ჟურნალისტი, პოპულარული ოპოზიციური ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის ყოფილი დირექტორი და კრიტიკული ტელევიზია „მთავარი არხის" თანადამფუძნებელი და დირექტორია. მის წინააღმდეგ მიმართული საქმე გვარამიას „რუსთავი 2-ში" დირექტორად ყოფნის დროს მიღებულ მენეჯერულ გადაწყვეტილებებს ეხება. დამოუკიდებელი ორგანიზაციების, ექსპერტებისა და სახალხო დამცველის შეფასებით, ნიკა გვარამიას წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები მტკიცებულებებს მოკლებული იყო, რამაც გამოძიების დაწყების დღიდან მიკერძოებული დევნის საფუძვლიანი ეჭვები გააჩინა.[86]

ნიკა გვარამიას 2022 წლის 16 მაისის პირველი ინსტანციის სასამართლომ 3 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ის დამნაშავედ ცნეს მითვისება-გაფლანგვისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების დანაშაულებში.[87] სააპელაციო სასამართლომ 2022 წლის 2 ნოემბრის განაჩენით ნიკა გვარამია პატიმრობაში დატოვა.[88] 2023 წლის 19 ივნისს კი უზენაესმა სასამართლომ, მათ შორის ნიკა გვარამიას საკასაციო სარჩელი დაუშვებლად ცნო და გვარამია პატიმრობაში დატოვა.[89]

სახალხო დამცველის შეფასებით, ნიკა გვარამიასთან დაკავშირებული დავა (ე.წ. რეკლამების ეპიზოდი) თეორიულად სამოქალაქო სამართლის დავა

---

[86] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო", ნიკა გვარამიას ბრალდების სისხლის სამართლის საქმის შეფასება 24 მარტი, 2021: https://transparency.ge/ge/post/nika-gvaramias-braldebis-sisxlis-samartlis-sakmis-shepaseba სახალხო დამცველი ნიკა გვარამიას მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენს ეხმაურება 2 ნოემბერი, 2022: https://ombudsman.ge/geo/190411044320siakhleebi/sakhalkho-damtsveli-nika-gvaramias-mimart-tbilisis-saapelatsio-sasamartlos-ganachens-ekhmaureba; სახალხო დამცველი სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, https://ombudsman.ge/res/docs/2019110416234655074.pdf ადამიანის უფლებათა ცენტრი, ავტორი - გიორგი ტყებუჩავა (2021): ნიკა გვარამიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სამართლებრივი შეფასება: https://hrc.ge/files/40gvaramia-geo.pdf

[87] რეგინფო.გე ნიკა გვარამიას 3 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიესაჯა https://reginfo.ge/people/item/26095-nika-gvaramias-3-xlita-da-6-tvit-patimroba-miesaja

[88] რადიო თავისუფლება, ნიკა გვარამია პატიმრობაში დატოვა სააპელაციო სასამართლომ: https://www.radiotavisupleba.ge/a/32111762.html

[89] Civil.ge, უზენაესმა სასამართლომ ნიკა გვარამია პატიმრობაში დატოვა, 2023 წლის 19 ივნისი: https://civil.ge/ka/archives/548874

იყო და სისხლის სამართლებრივი დევნის საფუძველი არ უნდა ყოფილიყო.[90] საერთაშორისო ორგანიზაციებმა და მედიის დამკვირვებლებმა, მათ შორის ჟურნალისტთა ევროპულმა ფედერაციამ და „რეპორტიორებმა საზღვრებს გარეშე", გამოთქვეს შეშფოთება ამ საქმის შესახებ და მიიჩნიეს, რომ ის მედიის თავისუფლებაზე თავდასხმა იყო და არა ჭეშმარიტი სამართლებრივი პროცესი. მათი განცხადებები ამყარებს გვარამიას საქმეზე პოლიტიკური მოტივაციის არსებობას.[91]

აქტიური იყო პარალელურად ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მოწოდებები პრეზიდენტის მიმართ, შეიწყალოს ნიკა გვარამია, ვინაიდან საქმე პოლიტიკურად მოტივირებული იყო და არსებულ ვითარებაში, ნაკლებად სავარაუდო იქნებოდა სამართლიანი სასამართლოს უფლების გარანტირება და უფლებების დაცვა.[92] უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა 2023 წლის 22 ივნისს ნიკა გვარამიას შეწყალების გადაწყვეტილება მიიღო. ამ გადაწყვეტილებას უფლებადამცველი ორგანიზაციების, პროდასავლური პარტიებისა და ევროპელი პარტნიორების მხრიდან ძირითადად პოზიტიური რეაქცია მოყვა, ვინაიდან გვარამიას გათავისუფლება ქვეყანაში მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად გადადგმულ ნაბიჯად იყო მიჩნეული.[93]

ნიკა გვარამიას „ჟურნალისტების დაცვის კომიტეტმა" (CPJ) პრესის თავისუფლების ჯილდო გადასცა.[94]

---

[90] სახალხო დამცველი ნიკა გვარამიას მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენს ეხმაურება: https://ombudsman.ge/geo/190411044320siakhleebi/sakhalkho-damtsveli-nika-gvaramias-mimart-tbilisis-saapelatsio-sasamartlos-ganachens-ekhmaureba

[91] Civil.ge, არასამთავრობოები ნიკა გვარამიას საქმეს კიდევ ერთხელ ეხმიანებიან, 2023 წლის 3 მაისი: https://civil.ge/ka/archives/540406

მედიის ადვოკატირების კოალიციის განცხადება: http://mediacoalition.ge/ge/a/a2cee118?fbclid=IwAR0aiCxxeIPZvLBkSQaD5MkLNEf3CT5_K9uDS4aoDq1TPYpyRso5MiyO68c

[92] Civil.ge, საერთაშორისო ორგანიზაციები პრეზიდენტს ნიკა გვარამიას შეწყალებისკენ მოუწოდებენ, https://civil.ge/ka/archives/538466, 2023 წლის 21 აპრილი.

[93] რადიო თავისუფლება, გვარამიას შეწყალება - (არა)საკმარისი ნაბიჯი ევროპისკენ? https://shorturl.at/gnuQX, 2023 წლის 23 ივნისი.

[94] მთავარი არხი: https://mtavari.tv/news/141012-nika-gvaramias-jildo-zhurnalisturi-mamatsobistvis

„თი-ბი-სი“-ს საქმე

კიდევ ერთი პოლიტიკურად მოტივირებული საქმეა ტელეკომპანია „ტვ პირველის“ მფლობელის მამის, ავთანდილ წერეთლის წინააღმდეგ მიმდინარე საქმე, რომელიც წლების განმავლობაში გრძელდებოდა. ეს საქმე ცნობილია, როგორც „თი-ბი-სი-ს საქმე“ და ბრალდებულებს შორის ოპოზიციური პარტიის - „ლელოს“ ლიდერებიც არიან.

2022 წლის იანვარში თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულები დამნაშავედ ცნო ჯგუფურ თაღლითობაში და არა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში, რასაც საქართველოს პროკურატურა მათ ედავებოდა. მართალია, სასამართლომ ბრალდებულებს 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, მაგრამ სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის გამო, სასჯელის მოხდისგან გაათავისუფლა, მათ შორის - „ტვ პირველის“ დამფუძნებლის მამაც. 2023 წლის 12 იანვარს სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა.[95]

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განცხადებით, ადგილი აქვს პოლიტიკურ მართლმსაჯულებას. ეს შეფასება ეფუძნება პროცესზე დაკვირვებას და საქმის მასალების შესწავლას. არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში მოწვეული დამოუკიდებელი საერთაშორისო ექსპერტის შეფასებითაც, მიმდინარე საქმეში არ არსებობს მტკიცებულება, რომ ავთანდილ წერეთელმა და საქმეში ბრალდებულმა პოლიტიკოსებმა ფულის გათეთრების დანაშაული ჩაიდინეს.[96]

2023 წლის 23 სექტემბერს კი საქართველოს უზენაესმა სასამართლომ „თი-ბი-სის საქმე“ წარმოებაში არ მიიღო.[97]

ტელეკომპანია „ფორმულას“ საქმე

კიდევ ერთი კრიტიკული ტელევიზიის - „ფორმულას“ მფლობელის, დავით კეზერაშვილის წინააღმდეგაც სასამართლო დავა მიმდინარეობს.

---

[95] რადიო თავისუფლება, ხაზარაძე-ჯაფარიძის საქმეზე სააპელაციომ საქალაქო სასამართლოს განაჩენი უცვლელი დატოვა, https://www.radiotavisupleba.ge/a/32240593.html, 2023 წლის 26 იანვარი.

[96] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ წერეთლის წინააღმდეგ ფულის გათეთრების საქმის შეფასება, https://transparency.ge/ge/post/mamuka-xazarazis-badri-japarizisa-da-avtandil-ceretlis-cinaagmdeg-pulis-gatetrebis-sakmis , 2020 წლის 14 მაისი.

[97] რადიო თავისუფლება, https://www.radiotavisupleba.ge/a/32615915.html, 29 სექტემბერი, 2023

2021 წლის არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე ტელეკომპანია „ფორმულას“ დამფუძნებლის და მთავარი დამფინანსებლის წინააღმდეგ უზენაესმა სასამართლომ 6 წლის წინ აღძრულ საქმეზე წარმოება განაახლა და მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ამ საქმეზე კეზერაშვილი პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებს გამართლებული ჰყავდა. აღსანიშნავია, რომ უზენაეს სასამართლოში საქმის მოსამართლე იყო შალვა თადუმაძე, რომელიც რამდენიმე წლის წინ ამ საქმის განხილვის დროს, გენერალური პროკურორის თანამდებობას იკავებდა.[98] აღნიშნული განაჩენის საფუძველზე კი დროის მცირე მონაკვეთში თავდაცვის სამინისტროს სარჩელის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ კეზერაშვილს სამინისტროსთვის 5 მილიონი ევროს გადახდა დააკისრა.[99]

მედიის ადვოკატირების კოალიციის შეფასებით, ეს გადაწყვეტილება გაზრდის წნეხს ტელევიზიაზე და მაუწყებლის საქმიანობის სიცოცხლისუნარიანობაზე იმოქმედებს.[100]

4. SLAPP სარჩელები კრიტიკული მედიის წინააღმდეგ

მედიის თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთ იარაღად ბოლო წლებში კრიტიკული მედიის წინააღმდეგ ცილისწამების მოტივით წამოწყებული სასამართლო დავებია გამოყენებული. მოსარჩელე მხარე კი, როგორც წესი, „ქართული ოცნების“ წევრები, მაღალი თანამდებობის პირები და მათთან

---

[98] ტაბულა, წერეთელი: არჩევნების წინ კეზერაშვილის წინააღმდეგ სარჩელის შეტანა პოლიტიკურად მოტივირებულია, https://tabula.ge/ge/news/673675-cereteli-archevnebis-cin-kezerashvilis, 2021 წლის 30 სექტემბერი.
ტაბულა, უზენაესმა სასამართლომ დავით კეზერაშვილს 5-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა, https://tabula.ge/ge/news/672689-uzenaesma-sasamartlom-davit-kezerashvils-5-cliani, 2021 წლის 7 სექტემბერი.
ნეტგაზეთი, თავდაცვის სამინისტრო კეზერაშვილს და ნინუას უჩივის და 5 მლნ ევროს ითხოვს, https://netgazeti.ge/news/565836/ 2021 წლის 30 სექტემბერი.

[99] ინტერპრესნიუსი, სააპელაციო სასამართლომ თავდაცვის სამინისტროსთვის 5 მილიონი ევროს გადახდის თაობაზე დავით კეზერაშვილის მიმართ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა, https://www.interpressnews.ge/ka/article/749269-saapelacio-sasamartlom-tavdacvis-saministrostvis-5-milioni-evros-gadaxdis-taobaze-davit-kezerashvilis-mimart-sakalako-sasamartlos-gadacqvetileba-zalashi-datova, 2023 წლის 21 მარტი.

[100] მედიის ადვოკატირების კოალიციის განცხადება: https://formulanews.ge/News/87650, 2023 წლის 24 მარტი.

დაკავშირებული ადამიანებია. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის (GDI) მონაცემებით, 2021-2023 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა SLAPP (Strategic Litigation Against Public Participation) სარჩელების რაოდენობა, რომლებიც შეტანილია კრიტიკული მედიისა და უფლებადამცველების წინააღმდეგ.[101]

SLAPP-ები არსებითად არის უსაფუძვლო ცილისწამების სარჩელები, რომლებიც შეტანილია პოლიტიკურად ან ფინანსურად გავლენიანი პირების მიერ საჯაროდ აქტიური მოქალაქეების გაჩუმებისა და მათთვის ფინანსური ბარიერების შექმნის მიზნით. SLAPP-ებით გამოწვეული ინდივიდუალური ზიანის გარდა, მათ, ასევე, აქვთ „მსუსხავი ეფექტი“ საზოგადოებრივ დისკურსზე. ხალხი როცა ხედავს, რომ ჟურნალისტებს და აქტივისტებს უჩივიან კრიტიკული განცხადებების გამო, ნაკლებად სავარაუდოა, თავად გააკეთონ მსგავსი განცხადებები. ამან შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების ინტერესის საკითხებზე დისკუსიის ჩახშობა.[102]

GDI-ის ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველოს საერთო სასამართლოები (სულ მცირე 38 ცილისწამების საქმე განიხილება) დიდწილად არაეფექტურია ჟურნალისტებისა და აქტივისტების უფლებების დაცვაში. ხშირ შემთხვევაში, სასამართლოები უგულებელყოფენ სარჩელში აშკარა არსებით დაუსაბუთებელ გარემოებებს და გადაწყვეტილება მოსარჩელეთა სასარგებლოდ გამოაქვთ. სასამართლოები არ ითვალისწინებენ „მსუსხავ ეფექტს“, რომელიც შეიძლება ჰქონდეს SLAPP-ებს საჯარო დისკურსზე. ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლომ მოსარჩელეებს ზიანის ანაზღაურების დიდი ოდენობაც კი დააკისრა, მიუხედავად იმისა, რომ სარჩელი აშკარად დაუსაბუთებელი იყო[103].

---

[101] GDI-ს ანგარიში, SLAPP საქმეები საქართველოში: https://gdi.ge/storage/files/doc/SLAPP%20%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%92%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%98%e1%83%a8%e1%83%98.pdf

[102] იქვე.

[103] იქვე.

5. უკანონო მოსმენები

სხვადასხვა კვლევის თანახმად, მედიაპროფესიონალებზე თვალთვალი ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად მიიჩნევა.[104] ფარული მიყურადება სახელმწიფო უსაფრთხოების მხრიდან უკვე წლებია გამოწვევას წარმოადგენს ქვეყნისთვის.[105] მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნება“ გმობდა წინა ხელისუფლების პერიოდში აღმოჩენილ ფარულ ჩანაწერებს, თავად იყენებს უკანონოდ მოპოვებულ ჩანაწერებს მოწინააღმდეგის დისკრედიტაციის თუ მისთვის არასახარბიელო თემის გადაფარვის მიზნით. ფარული ჩანაწერების გამოყენება განსაკუთრებით ხშირია არჩევნებისას. მაგალითად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში, როდესაც ხელისუფლების მაღალჩინოსანი პარტია „ქართულ ოცნებას“ გამოეყო, ინტერნეტში მისი პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოები გავრცელდა. იმავე წელს, მედიაში გამოქვეყნდა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორისა და ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერის ფარულად ჩაწერილი სატელეფონო საუბარიც.[106]

2021 წელს ფარული ჩანაწერების გავრცელების შემთხვევა დაფიქსირდა. აქედან მხოლოდ ერთ ჯერზე, მედიასაშუალებებისთვის 3000-მდე დოკუმენტი გახდა ხელმისაწვდომი, რომლებიც შეიცავდა ინფორმაციას ჟურნალისტებზე, სასულიერო პირებზე, ოპოზიციონერ პოლიტიკოსებზე, უცხოელ დიპლომატებსა და საჯარო მოხელეებზე.[107] 2022 წლის სექტემბერში

---

[104] ფრიდომ ჰაუსი, თავისუფლება მსოფლიოში, საქართველო, https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-world/2022, 2023; აირექსი, ჯანსაღი ინფორმაციის ბარომეტრი: https://www.irex.org/sites/default/files/VIBE_2022_Georgia%20(1).pdf, 2022; დოიჩე ველე, საქართველო მედიის თავისუფლება იკლებს, 2023: https://akademie.dw.com/en/georgia-media-freedom-in-decline/a-65076202
https://akademie.dw.com/en/georgia-media-freedom-in-decline/a-65076202

[105] საქართველოს არჩევნები ყურადღების ცენტრში, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, http://0s0h7.mjt.lu/nl2/0s0h7/0ru3.html?m=AagAAFlK-nEAAAAAAAAAABJRzk8AAAAA7yQAAAAAABn95ABhUXln52iDtW6bRCuhaEb7CB-n9wAZHXs&b=da262f9d&e=fa42eeb8&x=1u3His7rPMZ5kHVc3KfNfgdE9I2t4vbFm_Uvhahmkyg, 2021.

[106] იქვე, ISFED - „ეს შენ გეხება“ მორიგი ფარული აუდიოჩანაწერის გავრცელების შესახებ, https://isfed.ge/geo/news/es-shen-gekheba-morigi-faruli-audiochanatseris-gavrtselebis-shesakheb

[107] Civil. Ge, ევროკავშირის და აშშ-ის დიპლომატების საუბრები სავარაუდო ფარულ https://civil.ge/ka/archives/440525, ჩანაწერებში, 2021 წლის 15 სექტემბერი; კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის, კოალიცია “მედიის ადვოკატირებისთვის” სახელმწიფო ინსპექტორს მოსმენების

პროკურატურამ გამოძიება დაიწყო და რამდენიმე ჟურნალისტს დაზარალებულის სტატუსი მიანიჭა. 2020 წელს, „ტვ პირველის“ ჟურნალისტმა, ნატო გოგელიამ განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა, ირაკლი კობახიძემ ღია ეთერში მისი და ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის რეგიონული წარმომადგენლის სატელეფონი საუბარი განიხილა. ეს, გოგელიას თქმით, ადასტურებდა იმას, რომ ხელისუფლება მის ტელეფონს უსმენდა.[108]

მნიშვნელოვანია 2022 წელს „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ ცვლილებების მიღება, რამაც გააფართოვა ფარული ზომებით გამოსაძიებლად დასაშვები დანაშაულების სია, გაზარდა ამ ზომების საერთო მაქსიმალური ხანგრძლივობა და შეამცირა შეტყობინების ვალდებულება. კერძოდ, საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედებების მაქსიმალური ვადა გაიზარდა და დანაშაულთა ჩამონათვალს, რომელზეც ფარული თვალთვალი შეიძლება განხორციელდეს, ნაკლებად მძიმე დანაშაულიც დაემატა. ადგილობრივმა და საერთაშორისო ექსპერტებმა შემოთავაზებული კანონპროექტი გააკრიტიკეს.[109] მთავარ პრობლემად მოქალაქეთა უფლებებს და სათვალთვალო ზომების არაადეკვატურობას ასახელებდნენ და მოუწოდებნენ ოფიციალურ პირებს უარი ეთქვათ ცვლილებებზე. საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა ცვლილებებს ვეტო დაადო, მაგრამ პარლამენტმა ვეტო დაძლია და ცვლილებები მაინც მიიღო.[110]

ტექნიკური ინფრასტრუქტურის შემოწმებისკენ მოუწოდებს: http://mediacoalition.ge/ge/a/c462ced8; რადიო თავისუფლება, ევროკავშირმა საქართველოში ევროკავშირის ელჩი გამოიძახა სავარაუდო ჯაშუშობის შესახებ გავრცელებულ ფაილებთან დაკავშირებით, https://www.rferl.org/a/eu-georgia-leak-spying/31473207.html 2021 წლის 22 სექტემბერი.

[108] TV პირველის ჟურნალისტი: კობახიძემ დაადასტურა, რომ ხელისუფლება მისმენს, სამართლებრივად ვიომებ: https://shorturl.at/fxGNY

[109] ევროსაბჭო: საქართველო: ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ კანონპროექტი ნაჩქარევად იქნა მიღებული, საჭიროებს დამატებით შემუშავებას, ნათქვამია ვენეციის კომისიის დასკვნაში, 2022 წლის 26 აგვისტო. https://www.coe.int/en/web/portal/-/georgia-draft-surveillance-law-adopted-hastily-needs-further-elaboration-finds-venice-commission-opinion
საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო: მოვუწოდებთ პრეზიდენტს ვეტო დაადოს ფარული მიყურადების გაუარესებულ კანონმდებლობას, 2022 წლის 9 ივნისი https://transparency.ge/ge/post/movucodebt-prezidents-veto-daados-paruli-miquradebis-gauaresebul-kanonmdeblobas

[110] Civil.ge: პარლამენტმა ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ კანონპროექტზე პრეზიდენტის ვეტო დაძლია, 2022 წლის 7 სექტემბერი: https://civil.ge/ka/archives/507392

2021 წლის ივნისში, საქართველოს პარლამენტმა სადავო ცვლილება მიიღო კანონში „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, განსაზღვრავს საჯარო და კერძო სექტორების უფლება-მოვალეობებს ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის სფეროში. ცვლილებები მმართველი პარტიის წევრების მიერ იყო ინიცირებული. ცვლილებების თანახმად, ოპერატიულ ტექნიკურ სააგენტოს (OTA) - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს დაქვემდებარებულ ორგანიზაციას, მიეცა პირდაპირი წვდომა აღმასრულებელი, საკანონმდებლო ხელისუფლების საინფორმაციო სისტემებზე, ასევე სატელეკომუნიკაციო სექტორის ინფორმაციულ სისტემებზე და არაპირდაპირი წვდომა პერსონალურ და კომერციულ მონაცემებზე.[111] ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ვინაიდან ამ ცვლილებებით OTA ახორციელებს კანონს და, ასევე, ახდენს საკუთარი საქმიანობის მონიტორინგს, რთული ხდება დადგენა, რამდენად დაცულები არიან მედიის წარმომადგენლები.[112]

6. პოლიტიზებული სახელმწიფო უწყებები

საქართველოში კრიტიკული მედიასაშუალებებისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ მიზანმიმართული თავდასხმა პოლიტიზებული სახელმწიფო უწყებების მხრიდან ადგილობრივი და საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების შეშფოთების საგანია. არსებული პრაქტიკა არღვევს პრესის თავისუფლებას და ძირს უთხრის დემოკრატიულ პრინციპებს.

კომუნიკაციების ეროვნული კომისია, რომელიც კანონმდებლობით დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანია, სამწუხაროდ, პოლიტიკურად მოტივირებულ გადაწყვეტილებებს იღებს, რაც ძირითადად კრიტიკული მედიის წინააღმდეგ არის მიმართული. მედიისა და სამოქალაქო სექტორის

[111] ინფორმაციის თავისუფლების და განვითარების ინსტიტუტი: X მოწვევის პარლამენტმა „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ პრობლემური კანონპროექტი მესამე მოსმენით მიიღო, 2022 წლის 11 ივნისი: https://idfi.ge/ge/the_parliament_of_the_10_convocation_adopted_the_problematic_draft_law_on_information_security_

[112] აირექსი, ჯანსაღი ინფორმაციის ბარომეტრი: https://www.irex.org/sites/default/files/VIBE_2022_Georgia%20(1).pdf, 2022; საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, კანონპროექტი „ინფორმაციის უსაფრთხოების შესახებ“ და მასთან დაკავშირებული საფრთხეები, https://transparency.ge/ge/post/kanonproekti-inpormaciis-usaprtxoebis-shesaxeb-da-mastan-dakavshirebuli-saprtxeebi, 13 თებერვალი, 2020.

შეშფოთება გამოიწვია კომისიის გადაწყვეტილებამ, რომლითაც 2022 წელს ტელეკომპანია „მთავარი არხი“ 119 000 ლარით დააჯარიმა, ხოლო „ფორმულა“ და „ტვ პირველი“ გააფრთხილა. სანქციის საფუძველი მმართველი პარტიის სარჩელი იყო. მარეგულირებლის ინფორმაციით, მედიების მიერ გავრცელებული ვიდეორგოლი პოლიტიკურ რეკლამას წარმოადგენდა, რისი გავრცელებაც არასაარჩევნო პერიოდში აკრძალულია. ვინაიდან „მთავარ არხს” იდენტური დარღვევა უკვე ჰქონდა, მის მიმართ კომისიამ ფინანსური ხასიათის სანქცია გამოიყენა.[113] მედიის ადვოკატირების კოალიციის განცხადებით, მმართველი პარტიის მიმართ კრიტიკული შინაარსის ვიდეორგოლების განთავსების ხელშეშლა მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს და საფრთხეს უქმნის პლურალიზმს ქვეყანაში. ამგვარი დამოკიდებულება შეუთავსებელია თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს მართვის პრინციპებთან“.[114] „მთავარი არხი“ მარეგულირებელმა კომისიამ მსგავსი დარღვევის გამო 112 000 ლარით 2021 წელსაც დააჯარიმა.[115]

კიდევ ერთი სამწუხარო პრაქტიკა საქართველოში მმართველი პარტიის მხრიდან კრიტიკული მედიასაშუალებების ბოიკოტირებაა. ეს მექანიზმი გამოიყენება როგორც პასუხისმგებლობის თავიდან აცილებისა და განსხვავებული აზრის ჩახშობის საშუალება. თუკი წლების წინ „ქართული ოცნების“ ცალკეული ლიდერები კრიტიკულ მედიას ბოიკოტს პერიოდულად უცხადებდნენ, მოგვიანებით აღნიშნული პრაქტიკა მმართველმა პარტიამ საკუთარი პოლიტიკის ნაწილად აქცია და საერთოდ უარი თქვა კრიტიკული სარედაქციო მედიების მიერ ორგანიზებულ პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობაზე.[116] მმართველი პარტიის ლიდერმა, შალვა პაპუაშვილმა, ერთ-ერთ ინტერვიუში საჯაროდ განაცხადა და აღიარა, რომ „ქართული ოცნება“ ბოიკოტს უცხადებს კრიტიკულ მედიას, მათ პოლიტიკური ოპოზიციის

[113] Civil.ge, კომუნიკაციების კომისიამ „მთავარი არხი“ დააჯარიმა, „ფორმულა“ და „ტვ. პირველი“ გააფრთხილა, https://civil.ge/ka/archives/505595 , 2022 წლის 8 აგვისტო.
[114] მედიის ადვოკატირების კოალიციის განცხადება: https://www.facebook.com/MEDIACOALITION.GE/photos/a.1332408933533703/5239047179536506/?type=3
[115] Civil.ge, კომუნიკაციების კომისიამ „მთავარი არხი“ 112 000 ლარით დააჯარიმა, https://civil.ge/ka/archives/457849, 2021 წლის 25 ნოემბერი.
[116] სოციალური სამართლიანობის ცენტრი: https://socialjustice.org.ge/ka/products/media-safrtkhis-tsinashe-antimedia-populizmi#

ნაწილად მიიჩნევს და ამ არხებზე სტუმრობა პროპაგანდის გავრცელების ტოლფასი იქნება.[117]

მმართველი პარტიის მიერ კრიტიკული მედიის ბოიკოტი საქართველოში პრესის თავისუფლებისთვის სერიოზული საფრთხეა. ეს ხელს უშლის მედიას მთავრობისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებასა და მნიშვნელოვან საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებაში. ბოიკოტს „მსუსხავი ეფექტი" აქვს ჟურნალისტებზე, რადგან ეს არის ხელისუფლების სიგნალი, რომ ისინი კრიტიკული კითხვების დასმის გამო ისჯებიან.[118]

კრიტიკულ მედიასაშუალებებს ბოიკოტირების გარდა, რიგ შემთხვევებში მმართველმა პარტიამ ფიზიკურად აუკრძალა ან შეუზღუდა მათ საჯარო ღონისძიებებზე დასწრება. არაერთი შემთხვევაა, როდესაც კრიტიკული მედიის წარმომადგენლები არ მიიწვიეს საჯარო ღონისძიებაზე, მათ შორის პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მონაწილეობით გამართულ შეხვედრაზე, იუსტიციისა თუ კულტურის მინისტრის ბრიფინგებზე.[119]

რეპრესიული პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილის მიერ მედიის ჩართულობის გარეშე პარლამენტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლების აკრედიტაციის წესის მიღება და შემდგომ პრაქტიკაში მისი დისკრიმინაციული გამოყენება. მედიის წარმომადგენლები და მედიის ადვოკატირების კოალიცია მოუწოდებდა შალვა პაპუაშვილს, გაეთვალისწინებინა სექტორის მხრიდან გაცხადებული შეშფოთება წესის ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით და უზრუნველეყო ინკლუზიური პროცესი. თუმცა, სპიკერმა მედიასექტორის მოსაზრებები არ გაიზიარა. თავად წესში პრობლემურია, მაგალითად, მოთხოვნა, რომ ჟურნალისტმა უნდა შეწყვიტოს ინტერვიუ თუკი ამას დეპუტატი, საკანონმდებლო ორგანოს თანამშრომელი თუ სტუმარი მოითხოვს. ამ მოთხოვნის

---

[117] მედიაჩეკერი, ინტერვიუ შალვა პაპუაშვილთან: https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/90237-interviu-shalva-papuashviltan-natsili-pirveli; სოციალური სამართლიანობის ცენტრი, მედია საფრთხის წინაშე: ანტიმედია პოპულიზმი,https://socialjustice.org.ge/ka/products/media-safrtkhis-tsinashe-antimedia-populizmi# , 2022 წლის 1 დეკემბერი.

[118] ანა ჭიაბრიშვილი, მედია საფრთხის წინაშე: ანტიმედია პოპულიზმი, სოციალური სამართლიანობის ცენტრი: https://socialjustice.org.ge/ka/products/media-safrtkhis-tsinashe-antimedia-populizmi#, 2022 წლის 1 დეკემბერი,

[119] იქვე.

გაუთვალისწინებლობა, შესაძლოა, ერთი თვის ვადით აკრედიტაციის შეჩერების საფუძველი გახდეს, განმეორების შემთხვევაში კი - ექვსი თვით.[120]

მართალია, მმართველი პარტია ცვლილებებს პოზიტიურად მიიჩნევს,[121] მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, პარლამენტში არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც კრიტიკული მედიის წარმომადგენლებს დაუსაბუთებლად და დისკრიმინაციულად შეუჩერდა აკრედიტაცია. მაგალითად, მედიის ადვოკატირების კოალიციის განცხადებით, „რუსული კანონის“ წინააღმდეგ მიმდინარე პროცესის დროს მედიის წარმომადგენლებს ხელი შეეშალათ პარლამენტში პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში. იყო აკრედიტაციის შეჩერების და პარლამენტიდან მათი გაძევების შემთხვევებიც.[122]

მიზანმიმართულ დეზინფორმაციულ კამპანიასთან ერთად, გაიზარდა მმართველი პარტიის წარმომადგენლების მხრიდან კრიტიკული მედიის მიმართ ანტაგონისტური დამოკიდებულება. ეს გარემოება პრაქტიკულად ყოველდღიურობას წარმოადგენს ჟურნალისტებისათვის და დამატებით ახალისებს მათ მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას. ხშირია მმართველი პარტიის წარმომადგენლების მხრიდან საჯარო სივრცეში ჟურნალისტების შეურაცხყოფისა და ლანძღვის მაგალითები.[123]

7. დეზინფორმაცია მედიის წინააღმდეგ

დეზინფორმაცია საქართველოსთვის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურაში შექმნილია სამსახურები, რომლებიც დეზინფორმაციისა და კიბერუსაფრთხოების მიმართულებით მუშაობენ, კვლავაც პრობლემად რჩება სახელმწიფოს

[120] ჟურნალისტური ეთიკის ქარტია: https://www.qartia.ge/ka/siakhleebi/article/93826

[121] პირველი არხი, შალვა პაპუაშვილი - პარლამენტში მედიის აკრედიტაციის წესის ამოქმედებიდან 100 დღე გავიდა, https://1tv.ge/news/shalva-papuashvili-parlamentshi-mediis-akreditaciis-wesis-amoqmedebidan-100-dghe-gavida-gamartivda-djurnalistebistvis-shenobashi-shesvlis-procedura-tanabar-pirobebshi-moeqca-yvela-media/ 14 ივნისი 2023.

[122] მედიის ადვოკატირების კოალიციის განცხადება: https://www.facebook.com/MEDIACOALITION.GE/posts/608957177940890/?paipv=0&eav=AfacwUP0yPDYBRbAEozHbItt6FbYs6XEId770GNb5UGbPcpSwMcETVeanpZl4EAvWZs&_rdr

[123] ნეტგაზეთი, „ქალის სახე დაკარგე, პირი მოიწმინდე“ – კობახიძე „მთავარის“ ჟურნალისტს, https://netgazeti.ge/news/622795/, 2022 წლის 25 ივლისი.

მხრიდან არსებული გამოწვევის სათანადო შეფასება, სხვადასხვა პასუხისმგებელ უწყებათა შორის კოორდინაცია და საპასუხო ქმედებების ეფექტიანობა.[124] ქვეყანაში სერიოზული გამოწვევაა რუსული დეზინფორმაციის გავრცელება, რომლის ნაკადიც განსაკუთრებულად გაიზარდა რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ. ბოლო წლებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ სახელისუფლებო დეზინფორმაციისა და პრორუსული დეზინფორმაციის ნარატივები ხშირად ერთმანეთს ემთხვევა.[125] თუმცა, ამ ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერილ დეზინფორმაციაზე, რომელიც საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებას და მოწინააღმდეგის დისკრედიტაციას ისახავს მიზნად.

წლების განმავლობაში სოციალური მედიაში შექმნილი გვერდებით დისკრედიტაციული კამპანიების, დეზინფორმაციისა და მცდარი ინფორმაციის გავრცელება ხდება, რაც წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებით ძლიერდება.[126] სხვადასხვა მონიტორინგის შედეგების თანახმად, ხშირად ანონიმური გვერდები ნეგატიური კამპანიის წარმოების მთავარი საშუალებაა, რა დროსაც, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ინტერესებიდან გამომდინარე, ვრცელდება მოწინააღმდეგის დისკრედიტაციის შემცველი ინფორმაცია. მიუხედავადა იმისა, რომ ოპოზიციური პარტიებიც იყენებენ ასეთ გვერდებს, პროსახელისუფლებო ნარატივების გამავრცელებელი გვერდების რაოდენობა პროოპოზიციურ გვერდებს მნიშვნელოვნად აჭარბებს.

რაც შეეხება გავრცელებულ შინაარსს, აღნიშნული გვერდების სამიზნეებს შორის არიან სამოქალაქო საზოგადოების, მედიის და საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც კრიტიკულად აფასებენ

---

[124] საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, დეზინფორმაციის გავრცელება საქართველოში სახელმწიფოს მიდგომა და ბრძოლის გზები, https://docs.google.com/viewerng/viewer?url=https://www.transparency.ge/sites/default/files/a42mm-18pgcover_3.pdf, 2022

[125] საქართველოს რეფორმების ასოციაცია, „ქართული ოცნება“ და „ხალხის ძალა“ ერთდროულად გმობენ როგორც ძალადობას, ისე „ლგბტ პროპაგანდას“, 2023 წლის 21 აგვისტო: https://grass.org.ge/ka/publikaciebi/politikis-dokumenti/2404-gd-and-peoples-power-simultaneously-condemn-violence-and-lgbt-propaganda
ნეტგაზეთი: „ომში გვითრევენ...“ – „ოცნების“ პროპაგანდის „2 მიზანი“, https://netgazeti.ge/life/619144/

[126] ISFED, სოციალური მედიის მონიტორინგი, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები: https://drive.google.com/file/d/15LXtwByZwPCEvWqv5ts0rqjgNGhTeuy7/view?fbclid=IwAR2B0sIdjKdftYaA_g4JVVv8Cv9H-yo2t2MbT-gvm4ujzFRNjmXFpVsVVa4; ISFED, სოციალური მედიის მონიტორინგი - მეორე შუალედური ანგარიში: https://www.isfed.ge/geo/news/sotsialuri-mediis-monitoringi-meore-shualeduri-angarishi

მმართველ პარტიას და მის პოლიტიკას. აღსანიშნავია ისიც, რომ პროსახელისუფლებო გვერდების მიერ წარმოებული ნეგატიური კამპანია არა მხოლოდ საარჩევნო პერიოდებს ეხება, არამედ ისეთ კრიტიკულ მომენტებში აქტიურდება, როდესაც მმართველი პარტიის მიმართ ჩნდება კითხვები ან უკმაყოფილება მიღებული გადაწყვეტილების თუ ქმედების გამო.[127]

2023 წლის მაისში სოციალური ქსელის „ფეისბუკის“ მმართველმა კომპანიამ „მეტამ“ საქართველოს მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტთან დაკავშირებულ არაავთენტურ ქცევაში ამხილა და წაშალა[128] ათეულობით ანგარიში. ეს ანგარიშები, საზოგადოებრივ აზრსა და განწყობებზე ზემოქმედების მიზნით, სხვადასხვა ინფორმაციას ავრცელებდნენ. ამის გარდა, აკრიტიკებდნენ ოპოზიციურ პარტიებს და მიმდინარე მოვლენების შეფასებისას სახელისუფლებო ნარატივს სთავაზობდნენ საზოგადოებას. ეს ანგარიშები, გვერდები და ჯგუფები შეფარულად მოქმედებდნენ, თავს ასაღებდნენ რა დამოუკიდებელ ადგილობრივ ექსპერტებად და ხელისუფლების მხარდამჭერებად. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ფეისბუკის ადმინისტრაციამ წაშალა ხელისუფლებასთან და ოპოზიციასთან დაკავშირებული მსგავსი გვერდები.[129]

აღსანიშნავია, ასევე, „ქართული ოცნების“ მიერ მართული ფეისბუქის გვერდი „სინამდვილეში“, რომელიც ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტების, აქტივისტების, პოლიტიკოსების დისკრედიტაციას ღიად ეწევა და გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას კოორდინირებულად ავრცელებს....“.[130]

---

[127] მითების დეტექტორი, სახელისუფლებო და ანტიდასავლური ანგარიშები ლაზარე გრიგორიადისის წინააღმდეგ, https://mythdetector.ge/ka/sakhelisuphlebo-da-antidasavluri-angarishebi-lazare-grigoriadisis-tsinaaghmdeg/, 2023. ანი ქისტაური და თამარ კინწურაშვილი, რა არის დემოკრატია, დისკრედიტაცია და რელიგიური პროპაგანდა „სინამდვილეში“? – მმართველი პარტია კრიტიკული აზრის წინააღმდეგ, მითების დეტექტორი: https://mythdetector.ge/ka/ra-aris-demokratia-diskreditatsia-da-religiuri-propaganda-sinamdvileshi/

[128] Civil.ge, Meta Deletes Dozens of Accounts Associated with Georgian Government, https://about.fb.com/wp-content/uploads/2023/06/Meta-Quarterly-Adversarial-Threat-Report-Q1-2023.pdf , 2023 წლის 3 მაისი.

[129] Gleicher, Nathaniel (2019) Facebook: კოორდინირებული არაავთენტური ქცევის წაშლა საქართველოდან, ვიეტნამიდან და აშშ-დან: https://bit.ly/2XOKknA
& 2020 წლის აპრილის კოორდინირებული არაავთენტური ქცევის წაშლა (2020). https://bit.ly/3oXE60J
2020 წლის ოქტომბრის კოორდინირებული არაავთენტური ქცევის წაშლა (2020). https://bit.ly/2YRWIno

[130] მითების დეტექტორი, რა არის დემოკრატია, დისკრედიტაცია და რელიგიური პროპაგანდა „სინამდვილეში“? – მმართველი პარტია კრიტიკული აზრის წინააღმდეგ, მითების დეტექტორი: https://mythdetector.ge/ka/ra-aris-demokratia-diskreditatsia-da-religiuri-propaganda-sinamdvileshi/

ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი პროოპოზიციური და დამოუკიდებელი მედიასაშუალებები ხშირად ხელისუფლების, ასევე ანტილიბერალური და პრორუსული ჯგუფების დეზინფორმაციული კამპანიის ნაწილს წარმოადგენენ. როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, ხელისუფლების მხრიდან დეზინფორმაციის გავრცელების მთავარი მოტივი ალტერნატიული აზრისა და შეხედულების დისკრედიტაცია და საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებაა საკუთარი ინტერესის სასარგებლოდ. მედიასაშუალებების და ჟურნალისტების მიმართ დეზინფორმაციული ნარატივების სხვადასხვა ფორმით გავრცელების პროცესში ჩართული არიან როგორც პირდაპირ ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე - პროსახელისუფლებო მედიასაშუალებები, ან სოციალურ მედიაში არსებული კონკრეტული პირების ანგარიშები, ყალბი ანგარიშები თუ იქ არსებული ჯგუფები თუ ქსელები. მთავარი სახელისუფლებო მესიჯი არის ის, რომ მმართველი პარტიის მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედიასაშუალებები პროოპოზიციურ მესიჯებს, სიძულვილს და დეზინფორმაციას ავრცელებენ. მაგალითად, 2023 წლის მარტში, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ, კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკის გამო, „პალიტრა მედია“ გააკრიტიკა და გაავრცელა არასწორი ინფორმაცია თითქოს მას თავდაცვის ყოფილი მინისტრი და ტელეკომპანია „ფორმულას“ მფლობელი დავით კეზერაშვილი აფინანსებდა. ამას მოჰყვა მმართველი პარტიის ხელმძღვანელი პირების მიერ იმავე შინაარსის განცხადებებიც. მედიაჰოლდინგი „პალიტრა“ ერთ-ერთი იყო, სადაც „ქართული ოცნების“ წევრები მისვლაზე ან/და გადაცემებში მონაწილეობაზე უარს არ ამბობდნენ.[131]

2021 წლის წინასაარჩევნო პერიოდში კრიტიკული მედიასაშუალებების დისკრედიტაცია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი იყო. იმავე წლის 14 სექტემბერს მმართველი პარტიის წარმომადგენელმა შალვა პაპუაშვილმა, პარტიის მედიამონიტორინგის ანგარიშის შედეგები წარადგინა. ანგარიში შეეხებოდა მხოლოდ კრიტიკულ ტელეარხებს („ტვ პირველი“, „მთავარი არხი“ და ტელეკომპანია „ფორმულა“) და ამტკიცებდა, რომ ისინი ავრცელებდნენ სიძულვილის ენას, დეზინფორმაციას და მანიპულაციურად აშუქებდნენ ხელისუფლებას მისი დისკრედიტაციის მიზნით.[132]

---

[131] ნეტგაზეთი, „ოცნებამ“ „პალიტრა მედიის“ წინააღმდეგ დისკრედიტაციის კამპანია წამოიწყო, https://netgazeti.ge/life/662407/, 2023 წლის 28 მარტი.

[132] საქართველოს არჩევნები ყურადღების ცენტრში, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2021: http://0s0h7.mjt.lu/nl2/0s0h7/0865.html?m=AVgAAA28hDUAAAAEjXoAABJRzk8AAAAA7yQAAOeGABn95ABhVrM7O

ასევე, 2020 წლის 25 ივნისს, თბილისის მერმა ოპოზიციური პარტიების მიერ დეზინფორმაციის და ყალბი ახალი ამბების გავრცელების წინააღმდეგ კამპანიის დაწყების შესახებ გამოაცხადა.[133] კამპანიას თან ერთვოდა პლაკატი სამი ტელევიზიის ლოგოთი - „მთავარი არხი“, „ტვ პირველი“ და „ფორმულა“. ამ სატელევიზიო არხების სახელები პლაკატზე შემდეგნაირად ეწერა: „მთავარი სიცრუე“, „პირველი სიცრუე“ და „სიცრუის ფორმულა“.

როგორც აღინიშნა, ცალკეული ჟურნალისტების დისკრედიტაციას და მათ წინააღმდეგ მანიპულაციური ინფორმაციის გავრცელებას ანონიმური ჯგუფებიც ეწევიან. მაგალითად, 2023 წლის 4 აგვისტოს ფეისბუქის ქართულენოვანმა ანგარიშებმა და მათ შორის - პრორუსული და დეზინფორმაციული ნარატივების აქტიურმა გამავრცელებელმა, ბექა ვარდოსანიძემ „ტვ პირველისა“ და პრორუსული „ალტ-ინფოს“ ჟურნალისტების ფოტოები გაავრცელეს, რომლებიც შოვში მომხდარ სტიქიას აშუქებდნენ. ფოტოების მიხედვით, თითქოს „ტვ პირველის“ ჟურნალისტი ნანუკა ქაჯაია იცინის, ხოლო „ალტ-ინფოს“ ჟურნალისტი აცრემლებულია“.[134]

8. საჯარო ინფორმაციაზე წვდომა

საჯარო ინფორმაციაზე წვდომა საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო სამართლით გარანტირებული უფლებაა. საზოგადოებისათვის და, რა თქმა უნდა, მედიისათვის კანონმდებლობით გარანტირებული უფლების ფარგლებში საჯარო ინფორმაციის მოპოვება მნიშვნელოვანია მისი საქმიანობასა და ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაზრდის კუთხით.

კანონმდებლობით გარანტირებული უფლების მიუხედავად, საჯარო დაწესებულებები ხშირად არღვევენ საჯარო ინფორმაციის მიწოდების

8uveNn4TWCNxjVRat01SwAZHXs&b=b6f87d09&e=51b0591e&x=1u3His7rPMZ5kHVc3KfNfgdE9I2t4vbFmUvhahmkyg

[133] Civil.ge, თბილისის მერი „ყალბი ამბების გამავრცელებელ მედიას“ ვიდეოებით შეებრძოლება, 2020: https://civil.ge/ka/archives/357248

[134] მითების დეტექტორი, ტელეკომპანია „პირველის“ ჟურნალისტის მიერ შოვის ტრაგედიის გაშუქებასთან დაკავშირებით მანიპულაცია ვრცელდება, 2023: https://mythdetector.ge/ka/telekompania-pirvelis-zhurnalistis-mier-shovis-tragediis-gashuqebasthan-dakavshirebith-manipulatsia-vrtseldeba/

კანონით დადგენილ ვადებს. ხშირია დასაბუთებული მიზეზის გარეშე არასრული ინფორმაციის მიწოდებაც. ზოგიერთი საჯარო დაწესებულება, როგორიცაა - საქართველოს მთავრობა, საერთოდ არ პასუხობს ცალკეულ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებს ან საჩივრებს.[135]

IDFI-ის ანგარიშის თანახმად, სრული საჯარო ინფორმაცია კანონიერ ვადაში წარმატებით ჟურნალისტების მხოლოდ 12%-მა მოიპოვა, 50%-მა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხი ვერ მიიღო ან უარი მიიღო. ადმინისტრაციული საჩივრები, როგორც წესი, არადამაკმაყოფილებელია. საერთო სასამართლო სისტემაში საჯარო ინფორმაციის დავების დასრულებას, როგორც წესი, 2,5 წელი სჭირდება. სასამართლოებმა გაახანგრძლივეს სტანდარტული განხილვის ვადა 5 თვით ყველა საჩივარზე, დავების სირთულის მოტივით.[136]

საქართველოში არ არსებობს ისეთი ინსტიტუტი, როგორიც არის ინფორმაციის თავისუფლების კომისიონერი, რომელიც საჯარო დაწესებულებების მიერ ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის ეფექტურად განხორციელებას გაუწევს ზედამხედველობას. სასამართლოს კონტროლი ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ დავებზე არაეფექტურია საქმის განხილვის გაჭიანურებისა და ეფექტური საპროცესო მექანიზმების არარსებობის გამო. საჯარო დაწესებულებების მიერ ინფორმაციის თავისუფლების შესახებ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ანგარიშები არ იძლევა ყოვლისმომცველ გააზრებას საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სისტემური პრობლემების შესახებ.[137]

9. ჟურნალისტების დაცვის ეფექტური მექანიზმები

ჟურნალისტებისა და მედიასაშუალებების დაცვა აუცილებელია ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის. ჟურნალისტები გარდამტეხ როლს

[135] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, მედიის წვდომა საჯარო ინფორმაციაზე: კანონმდებლობა v. რეალობა, https://idfi.ge/ge/access_to_public_information_by_the_media_legislation_v_reality, 2022.

[136] იქვე.

[137] იქვე.

ასრულებენ მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ საზოგადოების ინფორმირებაში, მთავრობებისა და სხვა გავლენიანი აქტორების პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების ზრდაში. ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე არსებობს მთელი რიგი მექანიზმები მედიასაშუალებებისა და ჟურნალისტების ეფექტიანად დასაცავად.

ჟურნალისტებისა და მედიასაშუალებების დაცვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მექანიზმი არის სამართლებრივი ჩარჩოებისა და საერთაშორისო კონვენციების მიღება, რომელიც უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებას და გამოხატვის თავისუფლებას. ეს მექანიზმები მიზნად ისახავს, შექმნას ხელსაყრელი გარემო ჟურნალისტებისთვის და მედია ორგანიზაციებისთვის, რათა განახორციელონ თავიანთი სამუშაო შევიწროების, დაშინების ან ძალადობის გარეშე. სამართლებრივი დაცვა ემსახურება როგორც შემაკავებელ ფაქტორს, ასევე ჟურნალისტებს უჩენს განცდას, რომ მათი უსაფრთხოება პრიორიტეტულია. ბევრ ქვეყანას აქვს კანონები, რომლებიც იცავს გამოხატვის თავისუფლებას და მედიის თავისუფლებას. ეს კანონები შეიცავს დებულებებს, რომლებიც იცავს ჟურნალისტებს, ჟურნალისტთა წყაროებს და უზრუნველყოფს მედიის წარმომადგენლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. საკანონმდებლო ნორმების არსებობასთან ერთად, თანაბრად აუცილებელია, მათი პრაქტიკაში ეფექტური გამოყენება და დაცვა.[138]

მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი და არაპოლიტიზებული ინსტიტუტები, რომლებიც სპეციალურად იქმნება ჟურნალისტებისა და მედიასაშუალებების დაცვის მიზნით. ხაზგასმულია დამოუკიდებელი და ძლიერი სამოქალაქო სექტორის მნიშვნელობა, რომელიც მუშაობს ჟურნალისტებისა და მედიასაშუალებების დასაცავად. მიუკერძოებელი სამოქალაქო სექტორი ახორციელებს პერმანენტულ მონიტორინგს მედიაგარემოს შესახებ, უზრუნველყოფს ჟურნალისტების უფლებების დაცვას, ახორციელებს ადვოკატირების პროცესს და ხელს უწყობს მედიის წარმომადგენლების პროფესიული და ეთიკური სტანდარტების დაცვას და გაძლიერებას.[139]

---

[138] Council of Europe, Taking action to protect journalists and other media actors: https://rm.coe.int/cyprus-2020-safety-of-journalists/168097fa83 ; Recommendation CM/Rec(2016)4[1]: https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=09000016806415d9#_ftn1

[139] Council of Europe, Taking action to protect journalists and other media actors: https://rm.coe.int/cyprus-2020-safety-of-journalists/168097fa83

ჯანსაღი მედიაგარემოსა და ჟურნალისტების უფლებების ეფექტური დაცვის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება. გეგმა უნდა ეფუძნებოდეს ქვეყანაში არსებული ვითარების პროფესიონალურ ანალიზს. ქვეყანაში უნდა არსებობდეს როგორც ძლიერი პოლიტიკური და ეფექტური ხელმძღვანელობა და უწყებათაშორისი კოორდინაცია, ასევე ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება. უნდა შემუშავდეს ყოვლისმომცველი და ეფექტური პროგრამა, რომელიც აყალიბებს პრაქტიკას. შესაბამისი ფინანსების გამოყოფით უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი განხორციელება. ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად მიჩნეულია შვედეთისა და ჰოლანდიის სახელმწიფოების გამოცდილება, რომლებმაც გაითვალისწინეს ბოლო პერიოდში გაუარესებული მედიაგარემო და შესაბამისი ნაბიჯები გადადგეს. შვედეთის ეროვნული სამოქმედო გეგმა ეფუძნება გარემოს დეტალურ შესწავლას და ითვალისწინებს ეფექტური ნაბიჯების გადადგმას. ჰოლანდიაში შექმნილია საბჭო, რომლის წევრებიც პოლიცია, პროკურატურა, ჟურნალისტთა კავშირი და რედაქტორების ასოციაციაა. ისინი ახორციელებენ საზოგადოებისა და მედიის ცნობიერების ამაღლების პროექტებს, შეიმუშავებენ ჟურნალისტების უსაფრთხოების გეგმას, ინციდენტის პრევენციისა და რეაგირების შესახებ დოკუმენტებს, ატარებენ უსაფრთხოების ტრენინგებს და ა.შ.[140]

რეკომენდაციები:

- ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს მედიისა და ჟურნალისტების უფლებების საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დაცვა.
- ეფექტურად უნდა იყოს გამოძიებული მედიის წარმომადგენლებზე თავდასხმის, დაშინებისა თუ პროფესიული საქმიანობის უკანონოდ ხელშეშლის შემთხვევები;
- დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები კრიტიკული მედიის მფლობელებისა თუ ოჯახის წევრების მიმართ.

[140] Council of Europe, Taking action to protect journalists and other media actors, https://rm.coe.int/cyprus-2020-safety-of-journalists/168097fa83

- სახელმწიფო უწყებები დამოუკიდებელი უნდა იყვნენ თავიანთ საქმიანობაში და შეწყვიტონ პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილებების მიღება;
- მედიასა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები უნდა განხორციელდეს უშუალოდ დაინტერესებული პირებისა და დამოუკიდებელი აქტორების მონაწილეობით, ჩართულობით და ფართო კონსესუსის საფუძველზე.
- გადაიხედოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლი და გაფართოვდეს მისი დაცვის სფერო.
- კომუნიკაციების ეროვნული კომისიამ, მედიის და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობით, უზრუნველყოს სიძულვილის ენასა და უხამსობის განმარტებასთან დაკავშირებით სახელმძღვანელო დოკუმენტის მომზადება.
- ხელისუფლებამ და მასთან დაკავშირებულმა პირებმა უნდა შეწყვიტონ მიზანმიმართული დეზინფორმაციული კამპანიის წარმოება კრიტიკული მედიის წინააღმდეგ და საკუთარი რესურსი გამოიყენონ რუსულ დეზინფორმაციასთან და პროპაგანდასთან დასაპირისპირებლად, რაც გულისხმობს საზოგადოების განათლებისა და ცნობიერების ამაღლებას, თუ როგორ უნდა ამოიცნოს და წინააღმდეგობა გაუწიოს დეზინფორმაციას.
- მმართველმა პარტიამ შეწყვიტოს ბოიკოტი კრიტიკული მედიების წინააღმდეგ. ანტაგონისტური და მტრული გარემო უნდა შეიცვალოს პროფესიული და ჯანსაღი თანამშრომლობით.
- ჟურნალისტებს უნდა ჰქონდეთ ეფექტური წვდომა საჯარო ინფორმაციაზე, მათ შორის, საჯარო ღონისძიებებზე.
- მმართველმა პარტიამ და მასთან აფილირებულმა პირებმა უნდა შეწყვიტონ SLAPP სარჩელების შეტანა კრიტიკული მედიისა და აქტივისტების წინააღმდეგ. ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ცვლილებები კანონმდებლობაში, რათა დაიცვას ჟურნალისტები SLAPP საჩივრებისგან. მედიის წარმომადგენლების მხრიდან უნდა გადაიდგას ეფექტური ნაბიჯები პროფესიული და ეთიკური სტანდარტების გაძლიერებასა და პრაქტიკაში მათ გამოყენებასთან დაკავშირებით.

ანგარიში მომზადებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ

მისამართი:
0160 თბილისი, ა. გახოკიძის ქ. 11ა,
III სართული
ელ-ფოსტა: hrc@hrc.ge
ვებ-საიტი: hrc.ge

HRC